



ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების
სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
(აიპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანება)
(სოფელ ხაბელაშვილების სტრუქტურული ერთეული)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: ნინო ვასაძე

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: ნანა მაკარაძე

კვების დარგში ექსპერტი: ჯულია მამალაძე

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: ალექსანდრე თათარიშვილი



ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

| 1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ | |
|--|--|
| სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი |
| საფირმო სახელწოდება | ააიპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანება |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | 447860137 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება <i>(არსებობის შემთხვევაში)</i> | სოფელ ხაბელაშვილების სტრუქტურული ერთეული |
| სახელწოდება ინგლისურ ენაზე <i>(არსებობის შემთხვევაში)</i> | |
| სექტორი | საჯარო |
| ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება |
| 2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ | |
| იურიდიული მისამართი <i>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)</i> | საქართველო, შუახევი, დაბა შუახევი, რუსთაველის შეს. № 5 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი <i>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)</i> | რაიონი შუახევი, სოფელი ხაბელაშვილები |



| | | |
|---|---|--|
| დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი <i>(არსებობის შემთხვევაში)</i> | | |
| 3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ | | |
| დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი) <input checked="" type="checkbox"/> | დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) <input type="checkbox"/> | |
| 4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ | | |
| ვიზიტის საფუძველი <i>(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)</i> | 2026 წლის 20 მარტის MES 6 26 0000337604 ბრძანება; | |
| ვიზიტის პერიოდი <i>(თარიღი)</i> | 15-16 აპრილი 2026წ. | |
| 5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ <i>(ცხრილი არ იყვება პირველად ავტორიზაციაზე)</i> | | |
| წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა | ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა | |
| | | |
| 6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ | | |
| საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული "ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს. | | |



| N | პროგრამის სახე ¹ | კურიკულუმ(ებ)ის დასახელება | პროგრამის განხორციელების ენა | პროგრამის განხორციელების მიდგომა (არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური) | თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ზავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|--|---|------------------------------|--|--|
| 1 | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა | ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში მეთოდური სახელმძღვანელო 2-იდან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. | ქართული | | 15 ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება <input checked="" type="checkbox"/> არ ეთანხმება <input type="checkbox"/> |

7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 20 მარტის MES 6 26 0000337604 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა ა/წლის 15-16 აპრილს განახორციელა საავტორიზაციო ვიზიტი ააიპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალ ხაბელაშვილების სტრუქტურულ ერთეულში, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ მე-6 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საავტორიზაციო განაცხადი და დოკუმენტაცია და შეადგინა ვიზიტის დღის წესრიგი. ექსპერტებმა ვიზიტისას იმოქმედეს ამავე წესის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად და ვიზიტის ფარგლებში შეისწავლეს ყველა საკითხი დასკვნის პროექტის შესადგენად, მათ შორის, ჩაატარეს დაინტერესებულ პირებთან

¹ აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

ინტერვიუება, მოახდინეს ვიზუალური დათვალიერება, გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მხრიდან.

8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ააიპ შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანებაში დანერგილია პროფესიული განვითარების ეფექტიანი მოდელი, რომელიც ეფუძნება გამოცდილების გაზიარებასა და თანამშრომლობით სწავლას. აღნიშნულის ნათელი მაგალითია ორგანიზებული პროფესიული კონფერენცია, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა საბავშვო ბაღის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს მრავალფეროვანი თემები, მათ შორის: კურიკულუმის დანერგვა, გარე აქტივობების მნიშვნელობა, ფიზიკური გარემოს როლი, გარემოსდაცვითი განათლება, სასწავლო რესურსების ინოვაციური გამოყენება, ბავშვის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური გარემოს გაუმჯობესება და მშობლების ჩართულობა. კონფერენცია მოიცავდა როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ პრეზენტაციებს, რაც მონაწილეებს აძლევდა შესაძლებლობას გაცნობოდნენ წარმატებულ პრაქტიკებს, გაეზიარებინათ საკუთარი გამოცდილება და განეხილათ აქტუალური გამოწვევები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომებს, ინკლუზიურ და უსაფრთხო გარემოს შექმნას, ასევე სწავლების პროცესში შემოქმედებითი და მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებას. აღნიშნული ფორმატი ხელს უწყობს პროფესიულ დიალოგს, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას და საუკეთესო პრაქტიკების გავრცელებას როგორც დაწესებულების შიგნით, ისე სხვადასხვა ბაღებს შორის. მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი ტიპის კონფერენციების ჩატარება იგეგმება მომავალშიც, რაც უზრუნველყოფს უწყვეტ პროფესიულ განვითარებას და ხარისხის გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციულ კულტურას.

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....

.....

.....

.....



ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| 10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა | | |
|--|--|--|
| სტანდარტი/კომპონენტი | დაწესებულების თვითშეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
| ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა | | |
| 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 1.1. დაწესებულების მისია | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა | | |
| სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა (ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში მეთოდური სახელმძღვანელო 2-იდან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის) | | |
| 2. კურიკულუმი | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება |



| | | |
|--|--|--|
| | <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება |



| ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა | | |
|---|--|--|
| 3. ოჯახისა და თემის ჩართულობა | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა | | |
| 4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა | <input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 4.2. პროცესების მართვა | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება |



| | | |
|---|--|--|
| 4.3. მატერიალური რესურსი | <input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება | <input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 4.7. ფინანსური რესურსი | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება |



ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

- 1.1. დაწესებულების მისია
- 1.2. სტრატეგიული განვითარება
- 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
- 2.2. კურიკულუმის განხორციელება
- 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
- 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
- 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
- 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
- 4.2. პროცესების მართვა
- 4.3. მატერიალური რესურსი
- 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
- 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
- 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
- 4.7. ფინანსური რესურსი

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ შუახევის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების მისია შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული დაწესებულების კონცეფციას და ასახავს თანამედროვე ადრეული განათლების მნიშვნელოვან ასპექტებს. თამაშზე დაფუძნებული სწავლების პრინციპების გათვალისწინებით, დაწესებულება ყურადღებას ამახვილებს კოგნიტური, სოციალური და კრეატიული უნარების განვითარებაზე. მისია ასევე უსვამს ხაზს ბავშვის კეთილდღეობასა და ემოციურად მხარდაჭერი, ინკლუზიური გარემოს მნიშვნელობას. ის მკაფიოდ განსაზღვრავს დაწესებულების როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს დროში გაზომვადი ხედვა, რომელიც გამომდინარეობს მისიიდან. ხედვაში ჩაშლილია ის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები, რომელზე მუშაობასაც დაწესებულება გეგმავს მომდევნო 10 წლის განმავლობაში. აქცენტი გაკეთებულია

თანამედროვე, ინკლუზიური და ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნაზე. ხედვა არის რეალისტური და ორიენტირებულია კონკრეტულ შედეგებზე, როგორცაა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვა და ადამიანური რესურსის განვითარება. რაც შეეხება ღირებულებებს, ისინი თანხვედრაშია ხედვასთან და ფუნქციონირებს როგორც მისი პრაქტიკული განხორციელების საფუძველი. უსაფრთხო და მზრუნველი გარემო, ინკლუზიურობა და თანასწორობა, პარტნიორობა და პროფესიონალიზმი წარმოადგენს იმ ძირითად პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფს მისიისა და ხედვის რეალიზებას ყოველდღიურ საქმიანობაში. ღირებულებები არის მკაფიო, გასაგები და ორიენტირებულია როგორც ბავშვთა კეთილდღეობაზე, ისე თანამშრომლობისა და განვითარების კულტურის ჩამოყალიბებაზე. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)პ შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 14 ნოემბრის N-01-02/18 ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი. აღნიშნული დოკუმენტის მე-7 მუხლი არეგულირებს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფის ფორმირებასა და მუშაობის წესს. ჯგუფის შემადგენლობაში შედის გაერთიანების წარმომადგენლები; გაერთიანების სტრუქტურული ერთეული საბავშვო ბაღის წარმომადგენლები; მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი; მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი. საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფის სხდომებში ხმის უფლების გარეშე მონაწილეობის მიღების მიზნით, შესაძლებელია, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის მოწვევა. დაწესებულებამ სავტორიზაციო განაცხადთან ერთად წარმოადგინა მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების ამსახველი დოკუმენტაცია. ა(ი)პ შუახვევის ბაგა ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 14 ნოემბრის N-01-02/19 ბრძანებით შეიქმნა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა გაერთიანების თანამშრომლები, მათ შორის გაერთიანების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, ასევე სტრუქტურული ერთეულების მენეჯერები და აღმზრდელები; მუნიციპალიტეტის იურისტი და მშობელი. გარდა ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის ოქმები. კერძოდ, 2024 წლის 22 ნოემბრის N1 ოქმი, რომლითაც დასტურდება რომ სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა

მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტის პირველადი ვერსია. შეხვედრას სამუშაო ჯგუფის წევრების გარდა ესწრებოდა მოწვეული ექსპერტები. 2024 წლის 02 დეკემბრის N2 ოქმით დასტურდება მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტის საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბება, რომელიც წარედგინა გაერთიანების დირექტორს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 14 ნოემბრის N-01-02/18 ბრძანების მიხედვით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მე-6 მუხლის მიხედვით განსაზღვრულია დაწესებულების მიერ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შემუშავებული დოკუმენტების დაინტერესებული მხარეებისათვის გაზიარებისათვის გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ა) სოციალური პლატფორმების დახურული ჯგუფები და ჩატები; ბ) საჯარო ღონისძიებები (შეხვედრები); გ) ელექტრონული ფოსტა. ხაბელაშვილების სტრუქტურულ ერთეულში წარმოდგენილი იქნა ფოტომტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება, რომ ადგილობრივ თემთან მოხდა მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტის გაცნობა. ასევე აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებგვერდზე სტრატეგიულ გვერდთან ერთად. ასევე დოკუმენტი გაზიარებულია ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე:

<https://www.facebook.com/photo/?fbid=122127418202795305&set=pcb.122127418292795305>

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....



რჩევა

სასურველია, დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები ვებგვერდზე განთავსდეს ცალკე, ვიზუალურად გამოკვეთილ და მარტივად აღსაქმელ განყოფილებაში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მისიის, ხედვისა და ღირებულების ამსახველი დოკუმენტი;
2. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი;
3. დირექტორის 2024 წლის 14 ნოემბრის N-01-02/19 ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართველი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
4. სამუშაო ჯგუფის 2024 წლის 22 ნოემბრის N1 ოქმი;
5. სამუშაო ჯგუფის 2024 წლის 02 დეკემბრის N2 ოქმი;
6. ვებგვერდი;
7. სოციალური ქსელი.

| | | | |
|---|---|---|---|
| შეფასება: | | | |
| 1.1. დაწესებულების მისია | | | |
| შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)პ შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 14 ნოემბრის N-01-02/18 ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი, რომელიც მოიცავს როგორც სტრატეგიული, ასევე სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. აღნიშნული წესის მე-13-მე-15 მუხლები არეგულირებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგთან დაკავშირებულ საკითხებს. წესის თანახმად, განსაზღვრულია მონიტორინგის პერიოდულობა (სტრატეგიული გეგმა – ორჯერ, შუალედურ 2.5 წლიან ეტაპზე და საბოლოოდ; სამოქმედო გეგმა – წელიწადში ერთჯერ), რაც უზრუნველყოფს პროცესის სისტემურობასა და უწყვეტ კონტროლს. ასევე გათვალისწინებულია შედეგების ანალიზი სამუშაო ჯგუფის მიერ და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების ინიცირების შესაძლებლობა, რაც ამლიერებს პროცესის მოქნილობას.

გარდა ამისა, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ეფუძნება დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობას (დაწესებულების წარმომადგენლები, საბავშვო ბაღების სტრუქტურული ერთეულები, მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები). უზრუნველყოფილია თანამონაწილეობის, ინტერესების გათვალისწინების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ საავტორიზაციო განაცხადთან ერთად წარმოადგინა ა(ი)პ შუახვევის ბაგა ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 21 ნოემბრის N-01-02/27 ბრძანებით დამტკიცებული “შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების 2025-2030 წლის სტრატეგია.” დოკუმენტი წარმოადგენს

ხუთწლიან სტრატეგიულ გეგმას, რაც სრულად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას. სტრატეგიული გეგმა არის სტრუქტურირებული და ეფუძნება სიტუაციურ ანალიზს, მათ შორის მუნიციპალიტეტის კონტექსტის აღწერას და SWOT ანალიზს, რაც უზრუნველყოფს არსებული მდგომარეობის კომპლექსურ შეფასებას. სტრატეგიულ დოკუმენტში განსაზღვრულია მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებთანაც სრულ შესაბამისობაშია ფორმულირებული სტრატეგიული მიზნები. კერძოდ, დოკუმენტი მოიცავს ოთხ ძირითად სტრატეგიულ მიზანს: ბავშვზე ორიენტირებული და ინკლუზიური სასწავლო გარემოს განვითარება, პერსონალის პროფესიული განვითარება და მხარდაჭერა, მშობლებთან და თემთან პარტნიორობის გაძლიერება, ასევე ფიზიკური და საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესება. თითოეული სტრატეგიული მიზანი დაკონკრეტებულია შესაბამის ამოცანებში (3–4 ამოცანა თითო მიზანზე), რაც უზრუნველყოფს მიზნების რეალისტურობას, გაზომვადობას და პრაქტიკულ განხორციელებადობას.

შესაბამისად, სტრატეგიული გეგმა არის ხუთწლიანი, ციკლური და სრულად შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ საავტორიზაციო განაცხადთან ერთად წარმოადგინა 2026 წლის 02 მარტის Nზ25.1002606110 ბრძანებით დამტკიცებული 2026 წლის სამოქმედო გეგმა. იგი მოიცავს 12 თვიან პერიოდს და გამომდინარეობს დაწესებულების სტრატეგიული გეგმიდან. იგი ასევე იმეორებს 2025 წლის სამოქმედო გეგმის აქტივობებს, რომელიც სავალდებულო ხასიათისაა და შეადგენს ბალის აუცილებლად განსახორციელებელ საქმიანობას. დაწესებულებას სამოქმედო გეგმა დამტკიცებული აქვს ორი თვის დაგვიანებით. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, დაწესებულება სამოქმედო გეგმას შეიმუშავებს შესაბამისი რეგულაციის თანახმად. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 14 ნოემბრის N-01-02/18 ბრძანების მიხედვით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მე-11 მუხლი

განსაზღვრავს სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესს. ა(ი)პ შუახევის ბაგა ბავშვების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 21 ნოემბრის N-01-02/27 ბრძანებით დამტკიცდა 2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. შესაბამისად, დაწესებულებას წინასწარ ჰქონდა შემუშავების პროცესი განხორციელებული. 2026 წლის სამოქმედო გეგმა შეიმუშავა იგივე ჯგუფმა, რომელიც დამტკიცდა ა(ი)პ შუახევის ბაგა ბავშვების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 14 ნოემბრის N-01-02/19 ბრძანებით. მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იქნა სამუშაო ჯგუფის ოქმები: 2026 წლის 16 თებერვლის N1 და 2026 წლის 27 თებერვლის N2 ოქმები. შესაბამისად, სამოქმედო გეგმა შეიმუშავდა წესის თანახმად. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2026 წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცდა ორი თვის დაგვიანებით, რაც დაკავშირებულია მენეჯმენტის ცვლილებასთან. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

ექსპერტთა რჩევას, დაწესებულებამ საანგარიშო პერიოდის დადგომამდე უზრუნველყოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

2026 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით იკვეთება, რომ დოკუმენტი სტრუქტურულად დაკავშირებულია სტრატეგიულ გეგმასთან და მოიცავს მისგან გამომდინარე აქტივობებს. გეგმა ითვალისწინებს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამის ღონისძიებებს, რაც უზრუნველყოფს დაგეგმვის ლოგიკურ უწყვეტობას.

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია აქტივობები, რომელთა მიზანი შესაბამისი სტრატეგიული მიმართულებების განხორციელებაა. ასევე წარმოდგენილია პასუხისმგებელი პირები და/ან სტრუქტურული ერთეულები, რაც უზრუნველყოფს ფუნქციების მკაფიო განაწილებას და განხორციელების ორგანიზაციულ მხარდაჭერას.

დოკუმენტში ასახულია შესრულების ვადებიც, რომლებიც მირითადად რეალისტურად არის განსაზღვრული და შეესაბამება ერთწლიან დაგეგმვის პერიოდს. ასევე იკვეთება რესურსების გათვალისწინება, რაც მიუთითებს, რომ დაგეგმილი აქტივობების განხორციელება,

უზრუნველყოფილი იქნება არსებული შესაძლებლობების ფარგლებში. თითოეულ აქტივობას განსაზღვრული აქვს შესრულების გაზომვადი ინდიკატორი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკამაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)პ შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 14 ნოემბრის N-01-02/18 ბრძანების მიხედვით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მე-13 მე-2 პუნქტის მიხედვით, განსაზღვრულია გაერთიანების სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი 2,5 წელიწადში და ბოლოს, ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე 3 თვით ადრე. რაც შეეხება სამოქმედო გეგმას, ამავე წესის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, გაერთიანება სამოქმედო გეგმის მონიტორინგს ახორციელებს წელიწადში ერთჯერ. დაწესებულებამ საავტორიზაციო განაცხადთან ერთად წარმოადგინა ა(ა)პ შუახვევის ბაგა ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 21 ნოემბრის N-01-02/27 ბრძანებით დამტკიცებული “შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების 2025-2030 წლის სტრატეგია.” დოკუმენტის შემუშავებიდან 2.5 წელი ანუ სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის პერიოდი დადგება 2027 წლის პირველ ნახევარში. შესაბამისად, ამ ეტაპზე დაწესებულებას სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი არ განუხორციელებია. ამავე ბრძანებით დამტკიცებული იყო 2025 წლის სამოქმედო გეგმა, რომლის საანგარიშო პერიოდიც დასრულდა და დაწესებულებამ შეიმუშავა ახალი 2026 წლის სამოქმედო გეგმა. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი იქნა გასული წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მტკიცებულებები, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მხრიდან. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 14 ნოემბრის N-01-02/18 ბრძანების მიხედვით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მე-15 მუხლის შესაბამისად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშები განთავსდება ბაღის სოციალურ ქსელში, გაზიარებისთვის ასევე გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ა) ელექტრონული ფოსტა; ბ) საჯარო ღონისძიებები; გ) სოციალური პლატფორმების დახურული, ჯგუფები და ჩატები. როგორც გაერთიანების დირექტორმა აღნიშნა გასაუბრებისას, გაერთიანებაში ჩატარდა შემაჯამებელი შეხვედრა და სტრუქტურული ერთეულების მენეჯერების მხრიდან განხორციელდა წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის ანგარიშის წარდგენა. ექსპერტთა მხრიდან გაანალიზდა აღნიშნული და რადგანაც საჯაროობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მექანიზმად მეთოდოლოგიურ დოკუმენტში დასახელებულია საჯარო ღონისძიებები, გათვალისწინებული იქნა აღნიშნული გარემოება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა

ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ უზრუნველყოს ანგარიშების ვებგვერდზე განთავსება, რაც ხელს შეუწყობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, პროცესების გამჭვირვალობასა და დაწესებულების ანგარიშვალდებულების გამლიერებას დაინტერესებული მხარეების წინაშე.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



1. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი;
2. დირექტორის 2024 წლის 14 ნოემბრის N-01-02/19 ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართველი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
3. ა(ი)პ შუახევის ბაგა ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 21 ნოემბრის N-01-02/27 ბრძანებით დამტკიცებული შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების 2025-2030 წლის სტრატეგია;
4. ა(ი)პ შუახევის ბაგა ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 21 ნოემბრის N-01-02/27 ბრძანებით დამტკიცებული 2025წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
5. 2026 წლის 02 მარტის Nზ25.1002606110 ბრძანებით დამტკიცებული 2026 წლის სამოქმედო გეგმა;
6. 2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში;
7. სამუშაო ჯგუფის ოქმები;
8. ინტერვიუს შედეგები.

| | | | |
|---|---|---|---|
| შეფასება: | | | |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | | | |
| შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

2. კურიკულუმი ²

პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

კურიკულუმის დასახელება

²მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში. მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების სოფელ ხაბელაშვილების სტრუქტურულ ერთეულში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამის განხორციელება ეფუძნება წინასწარ შერჩეულ და დამტკიცებულ კურიკულუმს. დაწესებულება ახორციელებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამას „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში. მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის“. პროგრამის განხორციელების ენა და განსაზღვრულია ქართული, ხოლო მოთხოვნილი ბავშვთა ზღვრული რაოდენობაა 15.

დაწესებულებაში კურიკულუმის შერჩევის პროცესი რეგულირდება „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესით“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის №01-02/25 ბრძანებით. აღნიშნული წესი განსაზღვრავს კურიკულუმის შერჩევის, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების პროცედურებს, პასუხისმგებელ პირებს, შერჩევის კრიტერიუმებსა და კურიკულუმის განხორციელების ორგანიზების საფუძვლებს. ამასთანავე, წესი ითვალისწინებს კურიკულუმის შესაბამისობის შეფასებას სახელმწიფო სტანდარტთან, დაწესებულების ადამიანურ და მატერიალურ რესურსებთან, ფიზიკურ გარემოსა და თემის საჭიროებებთან მიმართებით, ასევე კურიკულუმის პერიოდული შეფასებისა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელების მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების პროცესის თანმიმდევრულობასა და სახელმწიფო სტანდარტთან შესაბამისობას

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება, რომლითაც განსაზღვრულია ჯგუფის შემადგენლობა და ფუნქციები. ბრძანების მიხედვით, ჯგუფს დაევალა კურიკულუმების გაცნობა, შერჩევა და დასამტკიცებლად გაერთიანების დირექტორისთვის წარდგენა. შერჩევის კრიტერიუმებში გათვალისწინებულია სახელმწიფო სტანდარტთან შესაბამისობა, ადამიანური და საგანმანათლებლო რესურსი, ფიზიკური გარემო და თემის საჭიროებები. ასევე წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფის სხდომების ოქმები, რომლებიც ადასტურებს კურიკულუმის შერჩევის პროცესის ორგანიზებულ და დოკუმენტირებულ ხასიათს.

კურიკულუმის დამტკიცება დასტურდება შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით. კერძოდ, შერჩეული კურიკულუმი დამტკიცებულია ა(ა)იპ შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 13 მარტის №ბ25.100260721 ბრძანებით.

აღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულება პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს ინსტიტუციურად დამტკიცებული კურიკულუმით, რომლის შერჩევისა და დანერგვის პროცესი წინასწარ განსაზღვრული წესისა და დოკუმენტირებული პროცედურების საფუძველზე ხორციელდება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების მიერ შერჩეული კურიკულუმი შინაარსობრივად და მეთოდოლოგიურად შეესაბამება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით განსაზღვრულ მიდგომებს. იგი ეფუძნება ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომას, თამაშზე დაფუძნებულ გამოცდილებას, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებასა და განვითარებაზე ორიენტირებულ პრაქტიკას.

წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით, იგი განკუთვნილია 2-იდან 6 წლამდე ასაკის ბავშვებთან მომუშავე პერსონალისთვის და აერთიანებს როგორც ზოგად, ისე პრაქტიკულ მითითებებს ბავშვების ჰოლისტურ განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შესაქმნელად. კურიკულუმში აღნიშნულია, რომ ბავშვები თამაშისა და აქტიური ჩართულობის გზით იძენენ გამოცდილებას, სწავლობენ გარემოს კვლევას, ურთიერთობასა და თვითგამოხატვას. ამასთანავე, კურიკულუმი ეფუძნება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტს, ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტსა და გარემოსა და სასწავლო-სააღმზრდელობითი პროცესის ხარისხის სტანდარტს. დოკუმენტი მოიცავს ბავშვის განვითარების სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს, რაც ხელს უწყობს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას.

კურიკულუმის პრაქტიკულ დანერგვასთან დაკავშირებით წარმოდგენილია დაწესებულების გრძელვადიანი გეგმა, რომელიც დამტკიცებულია შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით - ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 10 მარტის ბრძანება №25.100260695. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, გრძელვადიანი გეგმა ასახავს კურიკულუმით განსაზღვრული მიმართულებებისა და აქტივობების

ინტეგრირებას დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესში, რაც მიუთითებს კურიკულუმის პრაქტიკულ გამოყენებასა და დაგეგმვის პროცესში მის გათვალისწინებაზე.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ქმნის შესაბამის საფუძველს სახელმწიფო სტანდარტებით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად და მისი განხორციელება დაგეგმილია სისტემურად და ორგანიზებულად. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სოფელ ხაბელაშვილების სტრუქტურულ ერთეულში მოქმედი კურიკულუმი ეფუძნება თამაშზე დაფუძნებული აღზრდისა და განათლების პრინციპს, რომელიც ადრეული და სკოლამდელი განათლების ერთ-ერთ ძირითად მეთოდოლოგიურ მიდგომას წარმოადგენს. კურიკულუმის შინაარსიდან გამომდინარე, თამაში განიხილება არა როგორც დამატებითი ან თავისუფალი დროის აქტივობა, არამედ როგორც ბავშვის განვითარების, გარემოს შემეცნების, სოციალური ურთიერთობისა და თვითგამოხატვის ძირითადი საშუალება.

„ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში. მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ ბავშვს განიხილავს როგორც აქტიურ, ცნობისმოყვარე და შემოქმედებით მონაწილეს, რომელიც ცოდნასა და გამოცდილებას იძენს გარემოსთან, მასალებთან და ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში. კურიკულუმში ხაზგასმულია, რომ თამაში წარმოადგენს სწავლებისა და განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს, ხოლო აღმზრდელის როლია ბავშვების ინტერესებზე დაფუძნებული გარემოს შექმნა, მხარდაჭერა და პროცესის მიზანმიმართული წარმართვა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დღის განრიგი ადასტურებს, რომ დღის განმავლობაში გამოყოფილია დრო თამაშისთვის როგორც შიდა სივრცეში, ისე გარე გარემოში (ეზოში), რაც მიუთითებს თამაშის ინტეგრირებაზე ყოველდღიურ საგანმანათლებლო პროცესში და ქმნის ბავშვების აქტიური ჩართულობის წინაპირობას, თუმცა დღის განრიგში აქტივობების სტრუქტურა და ფორმულირებები საჭიროებს მეტად დაკონკრეტებასა და გადახედვას, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროცესის სიცხადისა და მიზანმიმართულობის გაძლიერებას. გარემოს დათვალიერებისა და საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულება მიმართულია კურიკულუმით განსაზღვრული თამაშზე დაფუძნებული პრინციპების პრაქტიკაში გადატანისკენ. დაწესებულების გარემოს ორგანიზება, წარმოდგენილი მოკლევადიანი გეგმები და საგანმანათლებლო პერსონალის განმარტებები მიუთითებს, რომ თამაში განიხილება საგანმანათლებლო პროცესის მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ საფუძვლად. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია დღის განრიგის გადახედვა და მისი სტრუქტურისა და ფორმულირების დაზუსტება, რაც გააძლიერებს საგანმანათლებლო პროცესის სიცხადესა და მიზანმიმართულობას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან და თემთან თანამშრომლობას, როგორც ბავშვის განვითარების მხარდაჭერ მნიშვნელოვან კომპონენტს. კურიკულუმის შინაარსში ოჯახთან თანამშრომლობა წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთ მიმართულებად, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის საჭიროებების უკეთ გააზრებას, განვითარების პროცესის თანმიმდევრულობასა და დაწესებულებასა და ოჯახს შორის პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 22 ნოემბრის №01-02/28 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს საკომუნიკაციო გეგმის მიზნებს, კომუნიკაციის პროცესში ჩართულ სუბიექტებს, ინფორმაციის გაცვლის ფორმებსა და თანამშრომლობის ორგანიზების მექანიზმებს. დოკუმენტის მიხედვით, საკომუნიკაციო პროცესში ჩართულ მხარეებად განსაზღვრულია დაწესებულების ადმინისტრაცია, საგანმანათლებლო პერსონალი, მშობლები და თემის წარმომადგენლები, ხოლო კომუნიკაციის ფორმებად - საინფორმაციო შეხვედრები, სოციალური ქსელები, სატელეფონო კომუნიკაცია, ელექტრონული ფოსტა და ინდივიდუალური შეხვედრები.

ასევე წარმოდგენილია ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 27 ნოემბრის №01-02/32 ბრძანება, რომლითაც დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი. ბრძანებით განსაზღვრულია ჯგუფის შემადგენლობა და ფუნქციები, მათ შორის საკომუნიკაციო გეგმის შემუშავება, მშობლებთან და თემთან თანამშრომლობის პროცესის დაგეგმვა, უკუკავშირის მექანიზმების განსაზღვრა და კომუნიკაციის ეფექტიანობის შეფასება.

წარმოდგენილი საკომუნიკაციო გეგმა მოიცავს სხვადასხვა აქტივობას, რომლებიც მიმართულია მშობელთა ინფორმირების, ჩართულობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობისკენ. გეგმაში გაწერილია როგორც საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრები, ისე ერთობლივი აქტივობები, რაც მიუთითებს, რომ ოჯახთან და თემთან თანამშრომლობა დაწესებულებაში დაგეგმილი და ორგანიზებული პროცესის სახეს ატარებს.

დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა, რომ მშობლებთან ურთიერთობა განსაზღვრულია ყოველდღიური კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის გზით, საჭიროების შემთხვევაში კი გათვალისწინებულია ინდივიდუალური შეხვედრები. აღნიშნული ხელს უწყობს ბავშვის საჭიროებების შესახებ ინფორმაციის გაზიარებასა და დაწესებულებასა და ოჯახს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის გაძლიერებას.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების მიერ შერჩეული კურიკულუმი და დაწესებულებაში არსებული მარეგულირებელი დოკუმენტები ითვალისწინებს ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისა და მათი ჩართულობის ხელშეწყობას. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს. კურიკულუმი „თამაში“ ეფუძნება ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომას და მოიცავს ბავშვის განვითარების სხვადასხვა მიმართულებას, მათ შორის თამაშს, კვლევა-აღმოჩენას, შემოქმედებით საქმიანობას, სოციალურ ურთიერთობასა და ფიზიკურ აქტივობას. კურიკულუმში წარმოდგენილია აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვების კოგნიტურ, სოციალურ-ემოციურ, კომუნიკაციურ, ფიზიკურ და შემოქმედებით განვითარებას. კურიკულუმი ასახავს, რომ ბავშვი სწავლობს გარემოსთან, ადამიანებთან და მრავალფეროვან მასალებთან ურთიერთობის გზით. დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია თამაშზე დაფუძნებულ სწავლებაზე, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებასა და გამოცდილების მიღებაზე ორიენტირებულ მიდგომაზე, რაც უზრუნველყოფს ბავშვების აქტიურ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ხაბელაშვილების ბაგა-ბაღის 2026 წლის გრძელვადიანი გეგმა, რომელიც ასახავს წლის განმავლობაში დაგეგმილ მრავალფეროვან საქმიანობებსა და თემატურ მიმართულებებს. გეგმაში წარმოდგენილია როგორც კულტურულ-შემეცნებითი, ისე სპორტული, ეკოლოგიური, შემოქმედებითი და სოციალური აქტივობები, მათ შორის დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ტყის საერთაშორისო დღე, წიგნის დღე, სპორტული აქტივობები, ექსკურსია, სხვადასხვა დღესასწაულისა და თემატური კვირეულის აღნიშვნა. გეგმაში ასევე განსაზღვრულია აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, მათ შორის მენეჯერი, აღმზრდელი, მუსიკის პედაგოგი და სხვა ჩართული პირები, რაც მიუთითებს, რომ კურიკულუმის მიზნები გადატანილია დაწესებულების დაგეგმვის პრაქტიკაში.

დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში დამატებით წარმოდგენილი მოკლევადიანი გეგმები ასახავს სხვადასხვა ტიპის საქმიანობასა და აქტივობას, რომლებიც მოიცავს თამაშზე დაფუძნებულ სწავლებას, შემოქმედებით, შემეცნებით, ფიზიკურ და სოციალურ აქტივობებს. გეგმებში წარმოდგენილი აქტივობები ორიენტირებულია ბავშვების ინტერესებზე, აქტიურ ჩართულობასა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებაზე, რაც ხელს უწყობს მრავალფეროვანი გამოცდილებების მიღებას, ბავშვთა ჰოლისტურ განვითარებასა და საგანმანათლებლო პროცესის მიზანმიმართულ ორგანიზებას.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ კურიკულუმი ითვალისწინებს ასაკისა და განვითარების შესაბამის მრავალფეროვან საქმიანობებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის - სამუშაო ჯგუფის სხდომების ოქმებისა და დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დგინდება, რომ კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან.

კურიკულუმის შერჩევისა და გაზიარების პროცესში მონაწილეობდა სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 26 თებერვლის №25.100260575 ბრძანებით „კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის დამტკიცების შესახებ“. ბრძანებით განსაზღვრულია ჯგუფის შემადგენლობა, რომელშიც შედიოდნენ გაერთიანების ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პერსონალის წარმომადგენლები, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მენეჯერები და აღმზრდელები, მათ შორის სოფელ ხაბელაშვილების სტრუქტურული ერთეულის მენეჯერი და აღმზრდელები, ასევე მშობლების წარმომადგენელი. ამავე ბრძანებით ჯგუფს დაევალა კურიკულუმების გაცნობა, შერჩევა და დასამტკიცებლად წარდგენა.

წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფის სხდომების ოქმები №1 (27.02.2026) და №2 (02.03.2026), რომლებიც ადასტურებს, რომ სამუშაო ჯგუფის ფარგლებში განხილულ იქნა კურიკულუმის შინაარსი, შესაბამისობა სახელმწიფო სტანდარტებთან, საგანმანათლებლო რესურსებთან და ბავშვთა ასაკობრივ საჭიროებებთან. ოქმებით ასევე დასტურდება, რომ ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება კურიკულუმის „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში. მეთოდური სახელმძღვანელო 2-იდან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ შერჩევისა და დამტკიცებისთვის წარდგენის შესახებ.

კურიკულუმის გაზიარებისა და დანერგვის პროცესი რეგულირდება „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესით“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის №01-02/25 ბრძანებით. აღნიშნული წესი განსაზღვრავს კურიკულუმის გაზიარების მექანიზმებს, სამუშაო პროცესში პერსონალის ჩართულობასა და კურიკულუმთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

ამასთან, კურიკულუმი დამტკიცებულია ა(ა)იპ შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 13 მარტის №25.100260721 ბრძანებით, რაც ადასტურებს, რომ შერჩეული კურიკულუმი ოფიციალურად არის დანერგილი დაწესებულების საქმიანობაში.

საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა, რომ პერსონალი იცნობს კურიკულუმის ძირითად პრინციპებს და იყენებს მას დაგეგმვის პროცესში. ასევე გამოიკვეთა, რომ მშობლებთან კურიკულუმის ძირითადი მიდგომების გაზიარება ხორციელდება კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმით, მათ შორის ყოველდღიური ურთიერთობისა და საინფორმაციო შეხვედრების გზით. აღნიშნული უზრუნველყოფს კურიკულუმის შესახებ პერსონალისა და მშობლების ინფორმირებულობას, პროცესის გამჭვირვალობასა და ბავშვის განვითარების საკითხებზე საერთო ხედვის ჩამოყალიბებას. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების სოფელ ხაბელაშვილების სტრუქტურული ერთეულის თვითშეფასება;
2. ა(ა)იპ შუახევის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანება „კურიკულუმების დამტკიცების შესახებ“ (დანართი №4);
3. „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში. მეთოდური სახელმძღვანელო 2-იდან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ (დანართი №4-1);
4. კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი (დანართი №5);
5. ა(ა)იპ შუახევის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანება „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ (დანართი №5-1);
6. კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება (მტკიცებულება №9);
7. კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შეხვედრების ოქმები (მტკიცებულებები №6 და 7);
8. ხაბელაშვილების საბავშვო ბაღის 2026 წლის გრძელვადიანი გეგმა (მტკიცებულება №8);
9. გრძელვადიანი გეგმების დამტკიცების შესახებ ბრძანება (დანართი №3-3);

10. დღის განრიგი (მტკიცებულება №22);
11. ინტერვიუს შედეგები (საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პერსონალი);
12. ვიზიტის ფარგლებში დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია (კურიკულუმის გამოყენების, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და საქმიანობების ორგანიზების ამსახველი მასალები).

| | | | |
|---|---|---|---|
| შეფასება: | | | |
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა | | | |
| შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხაბელაშვილების საბავშვო ბაღში საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული პერიოდულობისა და ხანგრძლივობის შესაბამისად და ატარებს სისტემურ და სტრუქტურირებულ ხასიათს. აღნიშნული დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, მათ შორის ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესით“, რომელიც დამტკიცებულია 2024 წლის 25 ნოემბრის №01-02/30 ბრძანებით, ასევე გრძელვადიანი გეგმებითა და დაგეგმვის სხვა ფორმებით.

წარმოდგენილი გრძელვადიანი გეგმების ანალიზი ცხადყოფს, რომ საგანმანათლებლო პროცესი ორგანიზებულია წინასწარ განსაზღვრული დროითი ჩარჩოს ფარგლებში და მოიცავს წლის განმავლობაში დაგეგმილ თემატურ მიმართულებებსა და აქტივობებს. გეგმებში განსაზღვრულია საქმიანობების განხორციელების პერიოდულობა და პასუხისმგებელი პირები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის თანმიმდევრულობასა და ორგანიზებულობას. გრძელვადიანი გეგმები დამტკიცებულია ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 10 მარტის №ბ25.100260695 ბრძანებით.

დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციით, მათ შორის ყოველდღიური დაგეგმვის მასალებით, იკვეთება საქმიანობების ორგანიზებული თანმიმდევრობა, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის სტრუქტურირებასა და ბავშვებისთვის

პროგნოზირებადი და სტაბილური გარემოს შექმნას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ვიზიტის ფარგლებში დამატებით წარმოდგენილი მასალები და ინტერვიუს შედეგები ადასტურებს, რომ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა არის კურიკულუმზე დაფუძნებული, თანმიმდევრული და სისტემურად ორგანიზებული. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

სასურველია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ეტაპების უფრო თანმიმდევრულად განაწილება სასწავლო წლის განმავლობაში, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელების უწყვეტობასა და პროცესის სისტემურობას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხაბელაშვილების საბავშვო ბაღში კურიკულუმის შესაბამისი გეგმების შემუშავება რეგულირდება „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესით“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 25 ნოემბრის №01-02/30 ბრძანებით. აღნიშნული წესი განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ფორმებსა და შესაბამის დოკუმენტაციას, მათ შორის გრძელვადიანი, მოკლევადიანი, ყოველდღიური და ინდივიდუალური დაგეგმვის ფორმებს, ასევე გეგმების შემუშავებასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებსა და პროცედურებს. წესის დანართებით დამტკიცებულია შესაბამისი დაგეგმვის ფორმები, რაც მიუთითებს, რომ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა დაწესებულებაში წინასწარ განსაზღვრულ და სტრუქტურირებულ ფორმატს ეფუძნება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვიზიტის ფარგლებში დამატებით გაცნობილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ გრძელვადიანი გეგმის შემუშავების პროცესში ჩართული იყო საგანმანათლებლო პერსონალი. კერძოდ, წარმოდგენილია ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 26 ნოემბრის №01-02/31 ბრძანება „გრძელვადიანი გეგმების/გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის დამტკიცების შესახებ“, რომლითაც განსაზღვრულია სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა. ასევე, სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი №2 (05.03.2026) ადასტურებს, რომ ჯგუფის წევრებმა ერთობლივად განიხილეს გრძელვადიანი გეგმის/გეგმების საკითხები, მათ შორის თემატური მიმართულებები, პასუხისმგებელი პირები და დაგეგმილი აქტივობები. ოქმით დასტურდება, რომ გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა სამუშაო შეხვედრის ფორმატში ჯგუფის წევრთა მონაწილეობით.

გრძელვადიანი გეგმა დამტკიცებულია ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 10 მარტის №25.100260695 ბრძანებით „გრძელვადიანი გეგმების დამტკიცების შესახებ“.

დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს მოკლევადიანი დაგეგმვისა და ინდივიდუალური დაგეგმვის მასალებს, რაც მიუთითებს, რომ დაწესებულებაში გათვალისწინებულია კურიკულუმით განსაზღვრული მიმართულებების შესაბამისად საქმიანობების დაგეგმვა და ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების ასახვა საგანმანათლებლო პროცესში.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ ხაბელაშვილების საბავშვო ბაღში კურიკულუმის შესაბამისი გეგმების შემუშავება წარმოადგენს თანამონაწილეობით პროცესს და ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხაბელაშვილების საბავშვო ბაღში საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ბავშვთა ინტერესებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის გრძელვადიანი, მოკლევადიანი და ინდივიდუალური დაგეგმვის მასალების ანალიზით იკვეთება, რომ საგანმანათლებლო საქმიანობების დაგეგმვისას გათვალისწინებულია ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებები, ინტერესების მრავალფეროვნება და ჯგუფის საჭიროებები.

წარმოდგენილი გრძელვადიანი გეგმა მოიცავს მრავალფეროვან თემატურ მიმართულებებსა და აქტივობებს, მათ შორის კულტურულ-შემეცნებით, ეკოლოგიურ, სპორტულ, შემოქმედებით და სოციალურ საქმიანობებს, რაც ქმნის შესაძლებლობას ბავშვების ინტერესებისა და ჩართულობის მრავალმხრივი მხარდაჭერისთვის. გეგმით განსაზღვრული აქტივობები დაკავშირებულია როგორც გარემოს გაცნობასა და კვლევა-აღმოჩენასთან, ისე შემოქმედებითი და სოციალური უნარების განვითარებასთან, რაც შეესაბამება ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომას.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში დამატებით წარმოდგენილი მოკლევადიანი დაგეგმვის მასალები მოიცავს სხვადასხვა ტიპის აქტივობასა და საგანმანათლებლო საქმიანობას, რაც მიუთითებს, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია ჯგუფის ინტერესები და საგანმანათლებლო პროცესის მრავალფეროვანი ორგანიზება.

დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში დამატებით წარმოდგენილი მოკლევადიანი დაგეგმვის მასალები მოიცავს სხვადასხვა ტიპის აქტივობასა და საგანმანათლებლო საქმიანობას, რაც მიუთითებს, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია ჯგუფის ინტერესები და საგანმანათლებლო პროცესის მრავალფეროვანი ორგანიზება. სოფელ ხაბელაშვილების სტრუქტურული ერთეულის თვითშეფასების მიხედვით, საგანმანათლებლო პროცესი ორიენტირებულია ბავშვთა ინტერესებზე, აქტიურ ჩართულობასა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებაზე. ასევე წარმოდგენილია ინდივიდუალური გეგმის ფორმა, რომელიც ითვალისწინებს ბავშვის განვითარების თავისებურებების, ინტერესებისა და საჭიროებების ასახვას საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისას.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ორიენტირებულია ჯგუფის საჭიროებებისა და ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....



4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხაბელაშვილების საბავშვო ბაღში საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების სოფელ ხაბელაშვილების სტრუქტურული ერთეულის თვითშეფასების, წარმოდგენილი გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების, დაკვირვებისა და შეფასების დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ საგანმანათლებლო პერსონალი სისტემატურად აკვირდება თითოეული ბავშვის ინტერესებს, შესაძლებლობებსა და განვითარების თავისებურებებს და მიღებულ ინფორმაციას იყენებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისას.

დაწესებულების მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მიხედვით, მოკლევადიანი გეგმები მოიცავს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების, ჯგუფის ინტერესებისა და განვითარების თავისებურებების გათვალისწინებას. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების სოფელ ხაბელაშვილების სტრუქტურული ერთეულის თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ საჭიროებების გამოვლენა ხდება დაკვირვების ფორმების, რეფლექსიური ჩანაწერებისა და შეფასების შედეგების საფუძველზე, რაც შემდეგ აისახება გეგმებსა და დაგეგმილ აქტივობებში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის თანახმად, საგანმანათლებლო პერსონალი პროცესის მიმდინარეობისას მუდმივად ითვალისწინებს ბავშვის ინტერესებსა და საჭიროებებს, გეგმავს მრავალფეროვან აქტივობებსა და თამაშებს და საჭიროების შემთხვევაში ახდენს გეგმების კორექტირებას. ასევე, ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგები გამოიყენება როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი გეგმების შედგენისა და საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის პროცესში.

ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების მიერ დანერგილი მიდგომები ხელს უწყობს თითოეული ბავშვის აქტიურ ჩართულობას, შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხაბელაშვილების საბავშვო ბაღში საგანმანათლებლო პროცესი ორგანიზებულია თამაშზე დაფუძნებული მიდგომით, რაც წარმოადგენს დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის პრაქტიკულ საფუძველს. დაწესებულების მიერ შერჩეული პროგრამა „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში, მეთოდური სახელმძღვანელო 2-იდან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ თამაშს განსაზღვრავს, როგორც ბავშვის სწავლისა და განვითარების ძირითად საშუალებას.

წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტის, გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების, დღის განრიგისა და საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესების ანალიზი ადასტურებს, რომ თამაშის ელემენტები ინტეგრირებულია როგორც ყოველდღიური აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების, ისე ტრანზიციების მართვის პროცესში. „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მიხედვით, მოკლევადიანი გეგმები მოიცავს თამაშზე ორიენტირებულ აქტივობებს, სხვადასხვა ტიპის თამაშს, შიდა და გარე გარემოში დაგეგმილ პროცესებსა და ბავშვის მიერ ინიცირებულ საქმიანობებს.

ა(ა)პ შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების სოფელ ხაბელაშვილების სტრუქტურული ერთეულის თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ მოკლევადიანი გეგმებით განსაზღვრულ აქტივობებში წამყვანი როლი თამაშს უჭირავს, ხოლო ტრანზიციების პერიოდში პერსონალი იყენებს თამაშის მიდგომას, რაც ხელს უწყობს ბავშვების მოტივაციის, ჩართულობისა და ემოციური კეთილდღეობის შენარჩუნებას. აქტივობებს შორის გადასვლა ორგანიზებულია რუტინის, მუსიკალური და მოძრავი თამაშების, თემატური მინიშნებებისა და სხვა სახალისო ელემენტების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს პროცესის ბუნებრივ და ბავშვზე მორგებულ მიმდინარეობას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საგანმანათლებლო პროცესი ითვალისწინებს ბავშვის ინტერესებსა და ინიციატივას. თემატური აქტივობების დაგეგმვისას ბავშვებისთვის წინასწარ მზადდება შესაბამისი რესურსები, რომლებიც მათ ინტერესსა და ჩართულობას აღვიძებს, რის საფუძველზეც ბავშვები დამოუკიდებლად იწყებენ თამაშს და ავითარებენ საკუთარ იდეებს. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს დამოუკიდებლობის, შემოქმედებითი და სოციალური უნარების განვითარებას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში გარემოს დათვალიერების საფუძველზე დასტურდება, რომ თამაში და თამაშის ელემენტები წარმოადგენს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესისა და ტრანზიციების მართვის ძირითად ხერხს. აღნიშნული პრაქტიკა შეესაბამება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს და ხელს უწყობს ბავშვზე ორიენტირებული, ინკლუზიური და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხაბელაშვილების საბავშვო ბაღში საგანმანათლებლო პროცესი ორგანიზებულია ისე, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს სხვადასხვა ტიპის თამაშში როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილსა და ჯგუფში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დღის განრიგი, მოკლევადიანი გეგმები და თვითშეფასების დოკუმენტი ადასტურებს, რომ აქტივობები მოიცავს როგორც თავისუფალ, ისე სტრუქტურირებულ თამაშს.

ბაღის გარემოში შექმნილია ფუნქციური ცენტრები სხვადასხვა საქმიანობის განსახორციელებლად (დრამატული, სენსორული, სამაგიდო, კუბურების, ხელოვნების, მეცნიერების ცენტრი, ასევე - განმარტოების სივრცე), რომლებიც ბავშვებს აძლევს თავისუფალი არჩევანის, ექსპერიმენტების ჩატარების, როლური თამაშისა და სოციალური ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობას. აქტივობები დაგეგმილია ისე, რომ თითოეულ ბავშვს ჰქონდეს შესაძლებლობა საკუთარი ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად აირჩიოს სასურველი საქმიანობა და ჩაერთოს სხვადასხვა ფორმის/შინაარსის თამაშში.

აქტივობები მიმდინარეობს როგორც შიდა სივრცეში, ისე გარე გარემოში. დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში გარემოს დათვალიერებით დადასტურდა, რომ გარე სივრცე ფუნქციურად გამოიყენება საგანმანათლებლო და სათამაშო აქტივობებისთვის და მორგებულია ბავშვების ასაკობრივ და განვითარების საჭიროებებზე. ფიზიკური გარემო უზრუნველყოფს როგორც აქტიურ, ისე მშვიდ აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობას.

აქტივობების მრავალფეროვნება, გარემოს ორგანიზება და ხელმისაწვდომი რესურსები ქმნის პირობებს ბავშვების აქტიური ჩართულობის, არჩევანის თავისუფლებისა და განვითარების სხვადასხვა სფეროს მხარდაჭერისთვის.



ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხაბელაშვილების საბავშვო ბაღში საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფა რეგულირდება დაწესებულებაში დამტკიცებული ფინანსური რესურსების მართვის მარეგულირებელი წესით, რომელიც განსაზღვრავს რესურსების დაგეგმვის, შეძენის, განახლებისა და გამოყენების პროცესს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ რესურსების მართვა ხორციელდება სისტემურად და ორიენტირებულია კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მხარდაჭერაზე.

„ფინანსური რესურსების მართვის მარეგულირებელი წესის“ მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 01 აგვისტოს №25.100252131 ბრძანებით, რესურსების დაგეგმვა და განაწილება ხორციელდება დაწესებულების სტრატეგიული და საგანმანათლებლო მიზნების შესაბამისად. დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს შესყიდვების დაგეგმვისა და განხორციელების მექანიზმებს, ბიუჯეტის შემუშავების, მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულებების წესებს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად მხარდაჭერას.

წარმოდგენილი მინიმალური რესურსების ჩამონათვალი ადასტურებს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფილია სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო და სათამაშო რესურსებით, რომლებიც შეესაბამება ბავშვების ასაკობრივ თავისებურებებსა და განვითარების სფეროებს. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია როგორც შემეცნებითი, სენსორული, მუსიკალური, სახელოვნებო და სოციალური განვითარების ხელშემწყობი რესურსები, ისე კუბურები, სამაგიდო თამაშები, წიგნები, მუსიკალური ინსტრუმენტები, როლური თამაშის ატრიბუტები და სხვა მრავალფეროვანი მასალები.

ა(ა)იპ შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 25 ნოემბრის №01-02/30 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მიხედვით, დაწესებულებაში შექმნილია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსებით აღჭურვილი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვების ასაკობრივი და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას. დოკუმენტის მიხედვით, რესურსები მოიცავს როგორც კურიკულუმით განსაზღვრული სფეროების მხარდამჭერ მასალებს, ისე შემეცნებითი, სენსორული, მოტორული, სახელოვნებო და სოციალური განვითარების ხელშემწყობ რესურსებს. ასევე, განსაზღვრულია რესურსების ხელმისაწვდომობის, უსაფრთხო გამოყენებისა და პერიოდული განახლების მექანიზმები, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტ და ხარისხიან წარმართვას. ამასთანავე, წარმოდგენილი ბიუჯეტის ანალიზი ადასტურებს, რომ დაწესებულებაში გათვალისწინებულია საგანმანათლებლო რესურსების, ინვენტარის, ტექნიკისა და გარემოს განახლებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები, რაც ქმნის საფუძველს რესურსების უწყვეტი ხელმისაწვდომობისა და განახლებისთვის.

დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუსა და ა(ა)იპ შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების სოფელ ხაბელაშვილების სტრუქტურული ერთეულის თვითშეფასების მიხედვით დგინდება, რომ რესურსების შერჩევა და გამოყენება დაკავშირებულია დაგეგმილ აქტივობებთან და ბავშვების ინტერესებსა და საჭიროებებთან, რაც მიუთითებს რესურსების მიზნობრივ და გააზრებულ გამოყენებაზე. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მრავალფეროვანი საგანმანათლებლო გამოცდილებების შექმნას და საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტად წარმართვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხაბელაშვილების საბავშვო ბაღში არსებული საგანმანათლებლო რესურსები შესაბამისობაშია კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებთან და ითვალისწინებს ბავშვთა ზღვრულ რაოდენობას. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების სოფელ ხაბელაშვილების სტრუქტურული ერთეულის თვითშეფასების, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში გარემოს დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ რესურსები საკმარისია ბავშვთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად და მათი გამოყენება შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ აქტივობებში.

ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 04 მარტის №25.100260635 ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ მიხედვით, ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია ინფრასტრუქტურული მოწყობა, ადამიანური რესურსი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საგანმანათლებლო რესურსი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო რესურსის მინიმალური რაოდენობა განისაზღვრება მოქმედი კურიკულუმის სპეციფიკის შესაბამისად.

ამავე წესის დანართის მიხედვით, სოფელ ხაბელაშვილების სტრუქტურულ ერთეულში განსაზღვრულია ბავშვთა ზღვრული რაოდენობა, შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსები, მათ შორის ჯგუფური ოთახების, საბავშვო ავეჯის, საწოლების, საკიდებისა და სხვა საჭირო რესურსების რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს ბავშვებისთვის უსაფრთხო და ფუნქციურ საგანმანათლებლო გარემოს.

ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების სოფელ ხაბელაშვილების სტრუქტურული ერთეულის თვითშეფასებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაწესებულებაში გამოყენებული რესურსები მოიცავს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო და სათამაშო მასალებს, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვთა კოგნიტურ, სოციალურ-ემოციურ, ფიზიკურ და შემოქმედებით განვითარებას. რესურსები შერჩეულია ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით და უზრუნველყოფს მრავალფეროვან აქტივობებში ბავშვთა სრულფასოვან ჩართულობას. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა, ბიბლიოთეკის აღმწერი დოკუმენტაცია, ინვენტარიზაციისა და რესურსების განაწილების ამსახველი მასალები, ასევე რესურსების მიღება-ჩაბარების აქტები ადასტურებს, რომ დაწესებულებაში უზრუნველყოფილია რესურსების სისტემური აღრიცხვა, განახლება და ორგანიზებული მართვა.

დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში გარემოს დათვალიერება ადასტურებს, რომ რესურსები განთავსებულია ბავშვებისთვის ხელმისაწვდომ ადგილებში, რაც ხელს უწყობს მათი დამოუკიდებელი გამოყენების უნარის განვითარებას, არჩევანის თავისუფლებასა და აქტიურ მონაწილეობას საგანმანათლებლო პროცესში. ამასთან, რესურსების რაოდენობა და მრავალფეროვნება ქმნის პირობებს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური საქმიანობების განხორციელებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იკ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების სოფელ ხაბელაშვილების სტრუქტურული ერთეულის თვითშეფასების მიხედვით, საგანმანათლებლო გარემო ორიენტირებულია ბავშვთა ინტერესების, ჩართულობისა და განვითარების მხარდაჭერაზე, რაც შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებსა და მიდგომებს.

ხაბელაშვილების საბავშვო ბაღში შიდა და გარე სივრცეების ფიზიკური გარემო ორგანიზებულია კურიკულუმით განსაზღვრული პრინციპებისა და ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის შესაბამისად. ჯგუფური ოთახის ფიზიკური გარემოს მოწყობის პროცესში ჩართულია როგორც დაწესებულების ადმინისტრაცია, ისე საგანმანათლებლო პერსონალი, ხოლო სივრცის ორგანიზებისას გათვალისწინებულია ჯგუფის საჭიროებები.

„საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მიხედვით, ჯგუფური ოთახის ფიზიკური გარემოს მოწყობისას გათვალისწინებულია როგორც ბავშვთა ინდივიდუალური და ინტერესებზე დაფუძნებული საჭიროებები, ისე უსაფრთხო, ხელმისაწვდომი და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა. ჯგუფში გამოყოფილია ფუნქციური ზონები, მათ შორის წიგნის კუთხე, მშვიდი და აქტიური თამაშის სივრცეები, ხელოვნებისა და შემოქმედებითი საქმიანობის, მეცნიერებისა და კვლევა-აღმოჩენის, ასევე მათემატიკური და სააზროვნო აქტივობებისთვის განკუთვნილი გარემო.

„საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მიხედვით, დაწესებულებაში საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და ორგანიზება ეფუძნება მრავალფეროვნების, ბავშვის ჰოლისტური განვითარების, თემატური მიმართულებების, ბავშვთა ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების პრინციპებს. რესურსები მოიცავს მზა, მეორად

და ბუნებრივ მასალებს, ხოლო მათი საჭიროებების განსაზღვრა და განახლება ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობითა და პერიოდული ინვენტარიზაციის საფუძველზე. ამასთან, დაწესებულებას შესაძლებლობა აქვს საგანმანათლებლო რესურსები გაამრავალფეროვნოს სხვადასხვა დამატებითი საშუალებით, მათ შორის რესურსების მოგროვების, დამზადებისა და დონაციის გზით.

დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული გარემოს დათვალიერების შედეგად იკვეთება, რომ ჯგუფის ოთახი ორგანიზებულია ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი და ფუნქციურად გამართული ფორმით. სივრცეში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები და მასალები, რომლებიც ხელს უწყობს თამაშზე დაფუძნებული, შემოქმედებითი, კვლევითი და სოციალური აქტივობების განხორციელებას. გარემოს მოწყობა ქმნის შესაძლებლობას როგორც ინდივიდუალური, ისე მცირე და დიდი ჯგუფური საქმიანობების ორგანიზებისთვის.

ამასთან, გარე სივრცე გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო პროცესის დამატებითი რესურსი და ხელს უწყობს ბავშვთა ფიზიკურ აქტივობას, გარემოსთან ურთიერთობასა და თავისუფალი თამაშის შესაძლებლობებს. ეზოში მოწყობილია სასრილოები, საქანელები, საჩრდილებლები, შეკრების სივრცე და სამეურნეო საქმიანობისთვის განკუთვნილი ადგილი. დღის განრიგი და წარმოდგენილი დაგეგმვის მასალები ასევე ითვალისწინებს ეზოში თამაშისა და გარე აქტივობების ორგანიზებას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და სივრცეების ფუნქციური ორგანიზება იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ ხაბელაშვილების საბავშვო ბაღის შიდა და გარე გარემო უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების განხორციელების მხარდაჭერას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

სასურველია გარე სივრცეში ფუნქციური ცენტრების მრავალფეროვნების გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს ბავშვების მრავალმხრივ ჩართულობას და კურიკულუმის ეფექტიან განხორციელებას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხაბელაშვილების საბავშვო ბაღის შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება შეესაბამება განსახორციელებელი კურიკულუმის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მათ ხელმისაწვდომობას ბავშვებისთვის. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 25 ნოემბრის №01-02/30 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მიხედვით, საგანმანათლებლო რესურსები ორგანიზებულია ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. წესის თანახმად, რესურსები განთავსებულია ფუნქციური პრინციპით და ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის, რაც ხელს უწყობს მათ დამოუკიდებელ არჩევანსა და აქტიურ ჩართულობას.

დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში გარემოს დათვალიერების შედეგად იკვეთება, რომ ჯგუფში არსებული საგანმანათლებლო რესურსები განლაგებულია ბავშვებისთვის ხელმისაწვდომ ფორმატში. წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები და მასალები, რომლებიც გამოიყენება თამაშის, შემოქმედებითი, შემეცნებითი, კვლევითი და სოციალური აქტივობების განხორციელებისთვის. რესურსების ორგანიზება ქმნის პირობებს ბავშვების დამოუკიდებელი მოქმედების, ინიციატივის გამოვლენისა და მათთვის საინტერესო საქმიანობებში ჩართულობისთვის.

ამასთან, გარე სივრცეშიც წარმოდგენილია ბავშვთა ასაკისა და საჭიროებების შესაბამისი რესურსები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა საქმიანობის ფარგლებში და ხელს უწყობს ბავშვების ფიზიკურ აქტივობას, გარემოსთან ურთიერთობასა და თავისუფალ თამაშს.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ ხაბელაშვილების საბავშვო ბაღის შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება კურიკულუმის შესაბამისია და უზრუნველყოფს რესურსების ხელმისაწვდომობას ბავშვებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხაბელაშვილების საბავშვო ბაღში ჯგუფური ოთახები მოწყობილია ისე, რომ ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ სხვადასხვა ტიპის აქტივობასა და თამაშში როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილში, მცირე და დიდ ჯგუფებში, ასევე საჭიროების შემთხვევაში ისარგებლონ დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობით. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების სოფელ ხაბელაშვილების სტრუქტურული ერთეულის თვითშეფასების მიხედვით, აღნიშნული საჭიროებები გათვალისწინებულია როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან გეგმებში, რაც განსაზღვრავს ჯგუფური ოთახების მოწყობისა და სივრცის ორგანიზების პრინციპებს.

დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული გარემოს დათვალიერების შედეგად იკვეთება, რომ ჯგუფის ოთახი ორგანიზებულია ფუნქციური ცენტრების პრინციპით და მოიცავს როგორც აქტიური თამაშისა და ჯგუფური საქმიანობის, ისე მშვიდი აქტივობებისა და დასვენებისთვის განკუთვნილ სივრცეებს. ჯგუფში წარმოდგენილია მშვიდი კუთხე, სადაც ბავშვს აქვს შესაძლებლობა განმარტოვდეს, დაათვალიეროს წიგნები ან გამოიყენოს მისთვის სასურველი სათამაშო, რაც ხელს უწყობს ბავშვის ემოციურ კეთილდღეობასა და თვითრეგულაციას.

ამასთან, ჯგუფში მოწყობილია ხელოვნებისა და შემოქმედებითი საქმიანობის სივრცე, სადაც ბავშვებს შეუძლიათ როგორც ინდივიდუალური, ისე მცირე ჯგუფური აქტივობების განხორციელება. ასევე წარმოდგენილია სივრცე საერთო და დიდი ჯგუფური საქმიანობებისთვის, რაც ქმნის შესაძლებლობას სხვადასხვა ფორმატის აქტივობებში მონაწილეობისათვის.

დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში გარემოს დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ ჯგუფური ოთახების მოწყობა უზრუნველყოფს ბავშვებისთვის აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობას. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების სოფელ ხაბელაშვილების სტრუქტურული ერთეულის თვითშეფასების, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგების საფუძველზე იკვეთება, რომ ხაბელაშვილების საბავშვო ბაღში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების ორგანიზებული და სისტემურად გაწერილი მიდგომა.

ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 25 ნოემბრის №01-02/30 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, დაწესებულებაში გამოიყენება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები, კითხვარები და პორტფოლიოზე დაფუძნებული შეფასება. ამავე წესის საფუძველზე დამტკიცებულია დაკვირვებისა და შეფასების შესაბამისი ფორმები, რაც უზრუნველყოფს პროცესის თანმიმდევრულობასა და ერთიან მიდგომაზე დაფუძნებულ განხორციელებას.

თვითშეფასების მიხედვით, ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების პროცესში ჩართულია როგორც აღმზრდელი, ისე ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი. დაკვირვება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული სიხშირით, ხოლო მიღებული ინფორმაცია აისახება ბავშვთან ინდივიდუალურ პორტფოლიოებში, აღმზრდელის პორტფოლიოსა და სხვა საგანმანათლებლო პერსონალის დოკუმენტაციაში. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, დაკვირვება თვეში ორჯერ ხორციელდება ერთ ბავშვზე, ხოლო შეფასება მიმდინარეობს განვითარების ხუთი სფეროსა და შესაბამისი ინდიკატორების გათვალისწინებით.

დაწესებულების მიერ შემუშავებული დაკვირვებისა და შეფასების სისტემა ორიენტირებულია ბავშვის ინტერესების გამოვლენაზე, განვითარების დინამიკის დანახვასა და ბავშვის საჭიროებების იდენტიფიცირებაზე. თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზი გამოიყენება როგორც მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების შედგენისა და მათი მოდიფიცირების, ისე საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის პროცესში. ამასთან, ინტერვიუს შედეგებით იკვეთება, რომ საგანმანათლებლო პერსონალი დაკვირვების შედეგებს იყენებს ბავშვზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად და ბავშვის საჭიროებების შესაბამისად სხვადასხვა მეთოდის, სიხშირისა და ინტენსივობის განსაზღვრისთვის. ასევე ხორციელდება მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები ბავშვის განვითარების, გამოვლენილი საჭიროებებისა და მხარდაჭერის გზების განხილვის მიზნით.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებაში ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების პროცესი ხორციელდება თანმიმდევრულად და მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხაბელაშვილების საბავშვო ბაღში ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების პროცესი მიმართულია თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებებისა და განვითარების პროგრესის გამოვლენისკენ. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების სოფელ ხაბელაშვილების სტრუქტურული ერთეულის თვითშეფასებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაწესებულების მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს ბავშვის განვითარების დინამიკის დანახვას, ინტერესების გამოვლენასა და ოჯახის ჩართულობას შეფასების პროცესში.

ბავშვზე დაკვირვებასა და შეფასებაში ჩართულია როგორც აღმზრდელი, ისე ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი, რაც ხელს უწყობს ბავშვის განვითარების მრავალმხრივ შეფასებას. შეფასება ხორციელდება განვითარების სხვადასხვა სფეროს გათვალისწინებით, მათ შორის ფიზიკური და სენსორული, სოციალურ-ემოციური, კომუნიკაციური, ენისა და მეტყველების, შემეცნებითი, დამოუკიდებლობისა და ადაპტური ქცევის განვითარების მიმართულებებით.

დაკვირვების, პორტფოლიოსა და შეფასების ფორმები ორიენტირებულია ბავშვის განვითარების პროცესის სხვადასხვა მიმართულებით ასახვაზე და ქმნის შესაძლებლობას, შეფასება ეფუძნებოდეს ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებებისა და საჭიროებების გააზრებას. ამასთან, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაკვირვებისა და შეფასების შედეგების გამოყენება გათვალისწინებულია მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების შედგენისა და კორექტირების, ასევე საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის პროცესში საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს შედეგებით იკვეთება, რომ დაკვირვების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვის ინტერესებს, ჩართულობასა და საჭიროებებს, ხოლო მიღებული ინფორმაცია გამოიყენება ბავშვზე ორიენტირებული საგანმანათლებლო მიდგომების დაგეგმვისთვის. ასევე ხორციელდება მშობლებთან ინდივიდუალური კომუნიკაცია ბავშვის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ ხაბელაშვილების საბავშვო ბაღში შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებებისა და პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 25 ნოემბრის №01-02/30 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მე-11 მუხლის შესაბამისად, დაწესებულება შეფასებაში მონაწილე პირების მიერ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ახორციელებს მოკლევადიანი და/ან გრძელვადიანი გეგმების მოდიფიცირებას ან მიღებულ შედეგებს ითვალისწინებს შემდგომი დაგეგმვის პროცესში.

ხაბელაშვილების საბავშვო ბაღში ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების გამოყენება გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიცირებისთვის. ა(ა)იპ შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების სოფელ ხაბელაშვილების სტრუქტურული ერთეულის თვითშეფასებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოიყენება როგორც მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების შედგენისა და კორექტირების, ისე საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის პროცესში. თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ გეგმის მიზნების, აქტივობებისა და თემატური მიმართულებების შერჩევა დაკავშირებულია შეფასების შედეგებთან, ხოლო დაგეგმვის პროცესში განხორციელებული ცვლილებები აისახება რეფლექსიაში. ასევე იკვეთება, რომ შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებები გამოიყენება ბავშვზე მორგებული საგანმანათლებლო მიდგომებისა და რესურსების განსაზღვრისთვის.

საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა, რომ დაკვირვებისა და შეფასების პროცესში მიღებული ინფორმაცია გამოიყენება ყოველდღიური საქმიანობების დაგეგმვისას, რაც მიუთითებს საგანმანათლებლო პროცესის მოქნილობასა და ბავშვის საჭიროებებზე ორიენტირებული მიდგომის გათვალისწინებაზე.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიცირებისთვის.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხაბელაშვილების საბავშვო ბაღში ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების სოფელ ხაბელაშვილების სტრუქტურული ერთეულის თვითშეფასების, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ვიზიტის ფარგლებში დამატებით გაცნობილი მასალებისა და საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დგინდება, რომ მშობლებთან კომუნიკაცია წარმოადგენს ბავშვის განვითარების შესახებ ინფორმაციის გაცვლის მნიშვნელოვან მექანიზმს.

ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 25 ნოემბრის №01-02/30 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მე-2, მე-8 და მე-9 მუხლების შესაბამისად, ბავშვის შეფასების პროცესში და შედეგების განხილვისას გათვალისწინებულია ოჯახის ჩართულობა. დაწესებულების თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ აღმზრდელებსა და მშობლებს შორის არსებობს მუდმივი კომუნიკაცია, რაც მშობლებს შესაძლებლობას აძლევს, თვალი ადევნონ ბავშვის სწავლასა და განვითარებას. ასევე, ბაღში იმართება ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან ბავშვის განვითარების, გამოვლენილი საჭიროებებისა და შემდგომი მხარდაჭერის საკითხებზე.

საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა, რომ მშობლებთან ინფორმაციის გაზიარება გათვალისწინებულია როგორც ყოველდღიური კომუნიკაციის, ისე ინდივიდუალური კონსულტაციებისა და შეხვედრების ფორმატში. მშობლებისთვის გათვალისწინებულია

შესაძლებლობა გაეცნონ ბავშვის ნამუშევრებს, პორტფოლიოში ასახულ ინფორმაციასა და განვითარების დინამიკას, რაც ხელს უწყობს ბავშვის საჭიროებებისა და პროგრესის შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაზიარებას. აღნიშნული მიდგომა ქმნის საფუძველს ოჯახსა და დაწესებულებას შორის თანამშრომლობის გაძლიერებისა და ბავშვის განვითარების პროცესის ერთიან ხედვაზე დაფუძნებული მხარდაჭერისთვის.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ ხაბელაშვილების საბავშვო ბაღში ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების სოფელ ხაბელაშვილების სტრუქტურული ერთეულის თვითშეფასება;
2. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის №01-02/25 ბრძანება „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ (დანართი №5-1);
3. „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“ (დანართი №5);
4. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 25 ნოემბრის №01-02/30 ბრძანება „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;
5. „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი №6);
6. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 13 მარტის №ბ25.100260721 ბრძანება „კურიკულუმების დამტკიცების შესახებ“ (დანართი №4);
7. „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში. მეთოდური სახელმძღვანელო 2-იდან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ (დანართი №4-1);
8. კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება (მტკიცებულება №9);
9. კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შეხვედრების ოქმები (მტკიცებულებები №6 და №7);



10. ხაბელაშვილების საბავშვო ბაღის 2026 წლის გრძელვადიანი გეგმა (მტკიცებულება №8);
11. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 10 მარტის №25. 100260695 ბრძანება „გრძელვადიანი გეგმების დამტკიცების შესახებ“ (მტკიცებულება №8-1);
12. დღის განრიგი (მტკიცებულება №22);
13. ინტერვიუს შედეგები (საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პერსონალი);
14. ვიზიტის ფარგლებში დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების, მშობლებთან კომუნიკაციისა და საქმიანობების ორგანიზების ამსახველი მასალები, საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა, ბიბლიოთეკის აღმწერი დოკუმენტაცია, ინვენტარიზაციისა და რესურსების განაწილების ამსახველი დოკუმენტაცია, რესურსების მიღება-ჩაბარების აქტები).

| | | | |
|---|---|---|---|
| შეფასება: | | | |
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | | | |
| შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანებას განსაზღვრული აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების მექანიზმები, პროცედურები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირები. კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პროცედურები განსაზღვრულია ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის N01-02/25 ბრძანებით დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესით“, რომელიც ეფუძნება მრავალმხრივ მიდგომას და მოიცავს საგანმანათლებლო პროცესის, ფიზიკური გარემოს, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უკუკავშირისა და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიის კომპონენტებს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის შეფასების მიზანია დაწესებულებამ დაადგინოს, რამდენად ეფექტიანად უწყობს ხელს

კურიკულუმი დასახული მიზნების მიღწევას. კურიკულუმის შეფასება ხორციელდება 2 წელიწადში ერთხელ, გაერთიანების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. კურიკულუმის შეფასების პროცესი ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას, ფიზიკური გარემოს შეფასებას, მშობლების უკუკავშირსა და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას. შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის დაკვირვება, ინტერვიუ და კითხვარები.

ხაბელაშვილების საბავშვო ბაღში ვიზიტის ფარგლებში დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგების საფუძველზე იკვეთება, რომ საგანმანათლებლო პერსონალი აცნობიერებს საკუთარი საქმიანობის გაანალიზებისა და საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანობის შეფასების მნიშვნელობას. კურიკულუმის შეფასების დაწესებულების მიერ განსაზღვრული მიდგომა ასახულია საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოებსა და რეფლექსიურ ჩანაწერებში. ამასთან, მშობლებთან კომუნიკაციის არსებული ფორმები ქმნის საფუძველს უკუკავშირის მიღებისა და მისი გათვალისწინებისთვის, რაც ხელს უწყობს კურიკულუმის შეფასების პროცესის მრავალმხრივობასა და განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომას.

გამომდინარე იქიდან, რომ ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების მიერ შერჩეული კურიკულუმი დამტკიცებულია 2026 წლის 13 მარტს, ხაბელაშვილების საბავშვო ბაღში კურიკულუმის სრულმასშტაბიანი შეფასება, დროის ფაქტორის გათვალისწინებით, ჯერ არ განხორციელებულა. თუმცა, დაწესებულებაში განსაზღვრულია კურიკულუმის შეფასების მექანიზმები და პროცედურები, რაც ქმნის კურიკულუმის შეფასებისა და შემდგომი განვითარების საფუძველს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

სასურველია კურიკულუმის შეფასების პროცესის ეტაპობრივი და სისტემური განხორციელება, მათ შორის შეფასების შედეგების დოკუმენტირება და ანალიზი, რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმის განვითარების პროცესის უფრო თანმიმდევრულ წარმართვას მარეგულირებელი წესით განსაზღვრული მიდგომების შესაბამისად.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

„კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის N01-02/25 ბრძანებით, კურიკულუმის შეფასების პროცესი დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროცესის, ფიზიკური გარემოსა და რესურსების გაუმჯობესებასთან. აღნიშნული წესი ითვალისწინებს შეფასების პროცესში მიღებული ინფორმაციის გაანალიზებას და მისი გამოყენების შესაძლებლობას კურიკულუმის შემდგომი განვითარებისთვის. კურიკულუმში ცვლილების განხორციელების საფუძველია კურიკულუმის შეფასების შედეგად გამოვლენილი მიგნებები ან/და რეკომენდაციები. კურიკულუმში განხორციელებული ცვლილებები შეიძლება იყოს წერტილოვანი, რაც შესაძლებელია უკავშირდებოდეს თემატური მიმართულებების მიხედვით კონკრეტული სამიზნე შინაარსის ცვლილებას, კურიკულუმის მიზნების დაზუსტებასა და რეფორმულირებას, ბავშვზე დაკვირვების კონკრეტული ინსტრუმენტების ცვლილებას, საგანმანათლებლო რესურსების შეცვლასა და გამრავალფეროვნებას, ფიზიკური გარემოს გადაწყობასა და გამრავალფეროვნებას, ცვლილებებს დღის განრიგში, ასევე ოჯახისა და თემის ჩართულობის ნაწილში. კურიკულუმში წერტილოვანი ცვლილებები შედის გაერთიანების დირექტორის ბრძანებით, ხოლო მასშტაბური ცვლილებები შეიძლება უკავშირდებოდეს კურიკულუმის შეცვლას, მოქმედ კურიკულუმში ახალი კურიკულუმ(ებ)ის დამატებას ან ამოღებას. მოქმედი წესის თანახმად, განსაზღვრულია კურიკულუმში მასშტაბური ცვლილებების განხორციელების შესაბამისი პროცედურები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზითა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ ხაზგასმული საბავშვო ბაღში განსაზღვრულია კურიკულუმის განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები, მათ შორის საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსია, მშობლების უკუკავშირის გათვალისწინება, საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასება. აღნიშნული ქმნის საფუძველს, რომ შეფასების პროცესში გამოვლენილი საჭიროებები ეტაპობრივად აისახოს კურიკულუმის განვითარებასა და საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესებაში. ვინაიდან კურიკულუმი ახლად დამტკიცებულია, მისი შეფასების შედეგებზე დაფუძნებული ცვლილებების პრაქტიკა ჯერ არ იკვეთება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების სოფელ ხაბელაშვილების სტრუქტურული ერთეულის თვითმფასება;
2. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის N01-02/25 ბრძანება „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ (დანართი №5-1);
3. „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“ (დანართი №5);
4. კურიკულუმის შეფასებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება (მტკიცებულება №9);
5. ინტერვიუს შედეგები (საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პერსონალი);
6. ვიზიტის ფარგლებში დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია (საგანმანათლებლო პროცესის გაანალიზების ამსახველი მასალები, საგანმანათლებლო პერსონალის რეფლექსიური ჩანაწერები, საგანმანათლებლო პერსონალისა და ბავშვების პორტფოლიოები, მშობლებთან კომუნიკაციისა და უკუკავშირის პრაქტიკის ამსახველი მასალები).

| | | | |
|---|---|---|---|
| შეფასება: | | | |
| 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება | | | |
| შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ხაბელაშვილების საბავშვო ბაღში ოჯახთან და თემთან თანამშრომლობა ხორციელდება წინასწარ დაგეგმილი და ორგანიზებული მიდგომის საფუძველზე. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 22 ნოემბრის N01-02/28 ბრძანებით დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის“ მე-2 და მე-3 მუხლებით განსაზღვრულია მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობის პროცესი, საკომუნიკაციო აუდიტორიის შერჩევის პრინციპები და საკომუნიკაციო გეგმის შემუშავების ეტაპები.

მარეგულირებელი წესის მიხედვით, საკომუნიკაციო გეგმის შემუშავება მოიცავს სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრას, საკომუნიკაციო არხების შერჩევას, აქტივობების დაგეგმვას, პასუხისმგებლობების გადანაწილებას, განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმებისა და კრიზისულ სიტუაციებში კომუნიკაციის ფორმების განსაზღვრას. ამავე წესით, გაერთიანების სამიზნე აუდიტორია დაყოფილია შიდა და გარე აუდიტორიად, სადაც გარე აუდიტორიაში მოიაზრებიან მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, ადგილობრივი საზოგადოების/თემის წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები, სფეროში მოღვაწე კოლეგები და სხვა დაინტერესებული მხარეები. საკომუნიკაციო გეგმა უზრუნველყოფს თანამშრომლობის პროცესის სისტემურობას და ქმნის წინაპირობას, რომ ურთიერთობა მშობლებთან და თემთან განხორციელდეს მიზნობრივად და ორგანიზებულად. დაგეგმილი აქტივობები მოიცავს როგორც საინფორმაციო, ისე ჩართულობის ფორმატებს, რაც უზრუნველყოფს მშობლების ინფორმირებულობას და მათ ჩართვის შესაძლებლობას.

წარმოდგენილი საკომუნიკაციო გეგმის მიხედვით, ხაბელაშვილების საბავშვო ბაღში დაგეგმილია სხვადასხვა ტიპის აქტივობები, მათ შორის მშობელთა კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები, სპორტული და კულინარიული თემატური ღონისძიებები, მშობლების ინფორმირების მიზნით გამართული შეხვედრები, სასკოლო მზაობის პროგრამის მასწავლებელთან თანამშრომლობა, დედისა და ქალის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, გარემოსდაცვითი აქტივობები და თემატური პერსონაჟების შეხვედრები, მშობლების ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ღონისძიებები, დედისა და ქალის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, გარემოსდაცვითი აქტივობები, სხვადასხვა თემატური და შემეცნებითი აქტივობები, მშობლების ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ღონისძიებები და სხვ. გეგმაში განსაზღვრულია აქტივობების განხორციელების პერიოდი, სამიზნე აუდიტორია და პასუხისმგებელი პირები, რაც თანამშრომლობის პროცესის სისტემურობასა და ორგანიზებულ ხასიათზე მიუთითებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს შედეგების საფუძველზე იკვეთება, რომ მშობლებთან და თემთან თანამშრომლობა ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ მიდგომებს და მოიცავს როგორც საინფორმაციო, ისე ჩართულობაზე ორიენტირებულ აქტივობებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულება წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხაბელაშვილების საბავშვო ბაღში მშობლებისა და თემის ჩართულობა განიხილება, როგორც კურიკულუმის განხორციელების მნიშვნელოვანი მხარდაჭერი კომპონენტი. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 22 ნოემბრის N01-02/28 ბრძანებით დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის“ საფუძველზე, დაწესებულება სამიზნე აუდიტორიას აცნობს დაგეგმილ აქტივობებსა და მათი განხორციელების ვადებს და უზრუნველყოფს მშობლებისა და თემის წარმომადგენლების ჩართულობის წახალისებას სხვადასხვა ფორმით. წარმოდგენილი საკომუნიკაციო გეგმისა და დამატებითი დოკუმენტაციის მიხედვით, მშობლები და თემის წარმომადგენლები ჩართულნი არიან როგორც დაწესებულების შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ დაგეგმილ აქტივობებსა და ღონისძიებებში. აღნიშნული მოიცავს სხვადასხვა თემატურ და ინტერაქტიულ ღონისძიებებს, მათ შორის სპორტულ აქტივობებს, გარემოსდაცვით ღონისძიებებს, დედისა და ქალის დღისადმი მიძღვნილ აქტივობებს, მშობელთა კრებებს, ინდივიდუალურ შეხვედრებსა და სასკოლო მზაობის პროგრამასთან დაკავშირებულ თანამშრომლობით პროცესებს.

დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ დაწესებულება მნიშვნელოვნად მიიჩნევს მშობლებისა და თემის წარმომადგენლების მოსაზრებების გათვალისწინებას კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობებისა და საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისას. აღნიშნული მიზნით განსაზღვრულია სხვადასხვა საშუალება, მათ შორის კითხვარები და შენიშვნების/წინადადებების ყუთი, რაც ხელს უწყობს უკუკავშირის მიღებასა და თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებას.

ხაბელაშვილების საბავშვო ბაღი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თემთან. აღნიშნულის მაგალითს წარმოადგენს სოფლის თემისა და ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლების მხარდაჭერა, რომლის ფარგლებშიც დაწესებულებას გადაეცა ტელევიზორი საგანმანათლებლო პროცესის მხარდასაჭერად. აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს თემის ჩართულობას, დაწესებულების მიმართ მხარდაჭერით დამოკიდებულებასა და ბავშვებისთვის საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესებაში ადგილობრივი საზოგადოების მონაწილეობას.

მშობლებისა და თემის ჩართულობა ხელს უწყობს ბავშვების გამოცდილების გაფართოებას, ოჯახსა და დაწესებულებას შორის პარტნიორული ურთიერთობის გაძლიერებასა და საგანმანათლებლო პროცესის გამრავალფეროვნებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა



.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხაზელაშვილების საბავშვო ბაღში მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან კომუნიკაცია ხორციელდება მრავალფეროვანი მეთოდებისა და საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 25 ნოემბრის N01-02/28 ბრძანებით დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის“ მე-4 მუხლის მიხედვით, დაწესებულებაში განსაზღვრულია სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალება, მათ შორის პირისპირ შეხვედრები, საინფორმაციო დაფები, სატელეფონო ზარები, ელექტრონული ფოსტა, გაერთიანების ვებ-გვერდი, სოციალური მედიის პლატფორმები და სოციალური მედიის დახურული ჯგუფები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე იკვეთება, რომ აღნიშნული საკომუნიკაციო არხები გამოიყენება მშობლების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით. მშობლებთან კომუნიკაცია ხორციელდება როგორც ყოველდღიური ურთიერთობის, ისე ინდივიდუალური შეხვედრების, სატელეფონო კომუნიკაციისა და სოციალური მედიის საშუალებით, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის დროულ გაცვლასა და მშობელთა ჩართულობას.

ამასთან, დაწესებულება ინფორმაციის გავრცელებისა და კომუნიკაციისთვის იყენებს გაერთიანების ოფიციალურ ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელებს, სადაც ქვეყნდება ინფორმაცია დაგეგმილი აქტივობების, ღონისძიებებისა და საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. აღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულება ოჯახთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებსა და არხებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია
.....
.....

რჩევა

სასურველია მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან თანამშრომლობის ფარგლებში უკუკავშირის რეგულარული შეგროვებისა და მისი გათვალისწინების პრაქტიკის შემდგომი გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს ოჯახთან თანამშრომლობის უფრო აქტიურ და შედეგზე ორიენტირებულ წარმართვას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების სოფელ ხაბელაშვილების სტრუქტურული ერთეულის თვითშეფასება;
2. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 22 ნოემბრის N01-02/28 ბრძანება „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (დანართი №7-1);
3. „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“ (დანართი №7);
4. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანება კომუნიკაციის გეგმის დამტკიცების შესახებ (დანართი №7-2);
5. ხაბელაშვილების საბავშვო ბაღის კომუნიკაციის გეგმა (დანართი №7-3);
6. ინტერვიუს შედეგები (საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პერსონალი);
7. ვიზიტის ფარგლებში დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია (მშობლებთან და თემთან კომუნიკაციის ამსახველი მასალები, საინფორმაციო შეტყობინებები, შეხვედრებისა და ჩართულობის პრაქტიკის ამსახველი მასალები, განხორციელებული აქტივობებისა და ღონისძიებების ამსახველი მასალები).

| | | | |
|---|---|---|---|
| შეფასება: | | | |
| 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა | | | |
| შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ხაზელაშვილების საბავშვო ბაღში ოჯახთან ურთიერთობა მიზნობრივად არის დაგეგმილი და მოიცავს მშობელთა ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართულ აქტივობებს. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების სოფელ ხაზელაშვილების სტრუქტურული ერთეულის თვითშეფასების, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულება სისტემურად უზრუნველყოფს მშობლებთან ინფორმაციის გაზიარებას სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე.

დაწესებულების თვითშეფასების მიხედვით, მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება ხორციელდება ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების, განვითარების სპეციფიკისა და სხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული თემები და შესაბამისი აქტივობები აისახება საკომუნიკაციო გეგმაში. დაწესებულებაში შექმნილია მშობელთა კომიტეტი, რომლის ჩართულობითაც იგეგმება სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო და მხარდამჭერი შეხვედრები. მშობლებთან ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, სადაც განიხილება ბავშვთა უფლებები, თამაში როგორც ბავშვის ქცევის და განვითარების ძირითადი ფორმა, ბავშვების პორტფოლიოები და საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები. ასევე, მშობლები ერთვებიან ბაღში განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობებში, რაც ხელს უწყობს მათი მონაწილეობისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებას ბავშვის განვითარების პროცესში.

საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს შედეგებით იკვეთება, რომ მშობლებთან კომუნიკაცია ხორციელდება როგორც ჯგუფური საინფორმაციო შეხვედრების, ისე ინდივიდუალური კომუნიკაციის ფორმით. საჭიროების შემთხვევაში, შეხვედრებში ჩართულნი არიან სხვადასხვა სპეციალისტები, რაც უზრუნველყოფს მშობლებისთვის მრავალმხრივი და პრაქტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ მშობლებთან საინფორმაციო და მხარდამჭერი შეხვედრების ფარგლებში განიხილება ბავშვის განვითარების ეტაპები, ქცევისა და ემოციების მართვის საკითხები, თამაშის მნიშვნელობა, ძალადობის პრევენცია, მშობლის როლი ბავშვის განვითარებაში, უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს შექმნა და სხვა აქტუალური თემები, რაც ხელს უწყობს მშობელთა ცნობიერების ამაღლებასა და ბავშვის განვითარების პროცესში მათი როლის უკეთ გააზრებას. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მშობლების ინფორმირებულობის ზრდას, ბავშვთა განვითარების პროცესის უკეთ გააზრებას და ოჯახისა და დაწესებულების თანამშრომლობის გაძლიერებას. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

სასურველია მშობელთა ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული აქტივობების შემდგომი განვითარება და თემატური მრავალფეროვნების გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს მშობლების ინფორმირებულობის ზრდასა და ოჯახთან თანამშრომლობის პროცესის უფრო მიზნობრივ წარმართვას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხაბელაშვილების საბავშვო ბაღში მშობლების ინფორმირება ბავშვთა შეფასების შედეგების შესახებ ხორციელდება საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 25 ნოემბრის N01-02/30 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მე-2, მე-8 და მე-9 მუხლების მიხედვით, საგანმანათლებლო პერსონალი პერიოდულად უზიარებს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ბავშვზე დაკვირვების შედეგად შეგროვებულ ინფორმაციასა და შეფასების შედეგებს.

დაწესებულებაში შეფასების შედეგების გაცნობა ხდება ინდივიდუალური კომუნიკაციის ფორმით. მშობლებს შესაძლებლობა ეძლევათ გაეცნონ ბავშვის პორტფოლიოში თავმოყრილ დაკვირვების ჩანაწერებს, განვითარების სტანდარტთან შესაბამისობის შეფასებებსა და ბავშვის ნამუშევრებს, რაც მათ აძლევს ინფორმაციას ბავშვის განვითარების დინამიკის, ინდივიდუალური პროგრესისა და საჭიროებების შესახებ. აღნიშნული ხელს უწყობს მშობლების უკეთ ინფორმირებულობას და ბავშვის განვითარების პროცესში მათი როლის გააზრებას.

ამასთან, მშობლებთან კომუნიკაციის პროცესში ყურადღება ექცევა არა მხოლოდ ინფორმაციის გაზიარებას, არამედ მშობლის უკუკავშირის მოსმენასა და თანამშრომლობითი ურთიერთობის გაძლიერებას. დაწესებულებაში მოქმედი პრაქტიკის ფარგლებში მშობლებს შესაძლებლობა აქვთ ინდივიდუალური შეხვედრების დროს მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ბავშვის მიღწევების, აქტივობებში ჩართულობისა და განვითარების თავისებურებების შესახებ.

დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს შედეგების საფუძველზე იკვეთება, რომ ისინი აცნობიერებენ ბავშვის შეფასების პროცესში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის მნიშვნელობას. ინტერვიუს შედეგებით ასევე დასტურდება, რომ მშობლებთან ინფორმაციის გაზიარება ხორციელდება როგორც ყოველდღიური კომუნიკაციის, ისე ინდივიდუალური შეხვედრების გზით, რაც ხელს უწყობს მშობლების ინფორმირებულობასა და ბავშვის განვითარების პროცესში მათი ჩართულობის გაძლიერებას. ზემოაღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას ბავშვთა შეფასების შედეგების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

თემში არსებული რესურსების გამოყენება ხაბელაშვილების საბავშვო ბაღში განიხილება კურიკულუმის განხორციელების მხარდამჭერ მნიშვნელოვან კომპონენტად. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების სოფელ ხაბელაშვილების სტრუქტურული ერთეულის თვითშეფასების, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგების საფუძველზე იკვეთება, რომ დაწესებულება ორიენტირებულია თემში არსებული შესაძლებლობებისა და რესურსების საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრირებაზე.

დაწესებულების თვითშეფასების მიხედვით, კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელების მიზნით საგანმანათლებლო პერსონალი გეგმავს სხვადასხვა ტიპის თემატურ აქტივობას თემში არსებული რესურსების გამოყენებით, აწყობს ექსკურსიებს და ბაღში იწვევს

სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს. აღნიშნული ხელს უწყობს ბავშვებისთვის გარემოსთან, პროფესიებთან და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული გამოცდილებების გაფართოებას.

ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ დაწესებულება აქტიურად იყენებს სოფელში არსებულ სხვადასხვა რესურსს, მათ შორის სკოლას, ბიბლიოთეკას, მუზეუმს, ამბულატორიას, საფუტკრე მეურნეობას და სხვ. აღნიშნული რესურსები გამოიყენება როგორც შემეცნებითი და თემატური აქტივობების, ისე ბავშვის სკოლაში ტრანზიციის მხარდაჭერის მიზნით. ამასთან, საგანმანათლებლო პროცესში ერთვებიან თემისა და მშობლების წარმომადგენლები სხვადასხვა პროფესიული გამოცდილებით, რომლებიც მონაწილეობენ თემატურ აქტივობებსა და შეხვედრებში.

თემში არსებული რესურსების გამოყენება ხელს უწყობს ბავშვების გამოცდილების გაფართოებას, გარემოსთან მათი კავშირის გაძლიერებასა და კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების უფრო პრაქტიკულად და მრავალმხრივ განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხაბელაშვილების საბავშვო ბაღში ოჯახთან და თემთან განხორციელებული აქტივობების შეფასება ხორციელდება არსებული კომუნიკაციის, უკუკავშირის მიღებისა და თვითრეფლექსიის პრაქტიკის ფარგლებში. ა(ა)იპ შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების სოფელ ხაბელაშვილების სტრუქტურული ერთეულის თვითშეფასების მიხედვით, ოჯახთან და თემთან განხორციელებული აქტივობების შეფასება პერიოდულად ხორციელდება სხვადასხვა ფორმით, მათ შორის გამოკითხვის გზით. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დაწესებულება კონკრეტულ

შემთხვევებში მუშაობს აქტივობების გაუმჯობესებაზე და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები ოჯახთან/თემთან თანამშრომლობის გეგმაში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს შედეგების საფუძველზე იკვეთება, რომ დაწესებულება აანალიზებს განხორციელებულ აქტივობებს და მიღებულ გამოცდილებას ითვალისწინებს შემდგომი საქმიანობის დაგეგმვისას. მშობლებთან კომუნიკაციის პროცესში მიღებული უკუკავშირი და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსია წარმოადგენს აქტივობების შეფასების მნიშვნელოვან წყაროს, რაც ქმნის საფუძველს მათი გაუმჯობესებისა და თანამშრომლობის ხარისხის განვითარებისთვის. ინტერვიუს შედეგებით ასევე იკვეთება, რომ დაწესებულება აფასებს განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობას და ცდილობს მათი დაგეგმვა ბავშვების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

დაწესებულების მიერ დაგეგმილი აქტივობების ფარგლებში ხშირად ეწყობა ექსკურსიები სკოლაში, ბიბლიოთეკაში, მუზეუმსა და სხვა დაწესებულებებში, სადაც ბავშვები ეცნობიან შესაბამის გარემოსა და მის დანიშნულებას. მაგალითად, სკოლაში ვიზიტის დროს ბავშვები გაეცნენ მომავალ პედაგოგს, დაათვალიერეს შენობის შიდა და გარე სივრცეები, რაც ხელს უწყობს სკოლისთვის მათ მზაობასა და გარემოსთან ადაპტაციას. მსგავსი პრაქტიკა გამოიყენება სხვა ექსკურსიებისა და თემატური აქტივობების განხორციელების დროსაც. აღნიშნული ადასტურებს, რომ დაწესებულება აფასებს ოჯახთან და თემთან განხორციელებულ აქტივობებს და მიღებულ გამოცდილებას იყენებს შემდგომი საქმიანობის გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

სასურველია ოჯახთან და თემთან განხორციელებული აქტივობების შეფასების შედეგებისა და განხორციელებული ცვლილებების უფრო სისტემურად დოკუმენტირების პრაქტიკის გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს თანამშრომლობის პროცესის ეფექტიან დაგეგმვასა და განვითარებას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების სოფელ ხაბელაშვილების სტრუქტურული ერთეულის თვითშეფასება;

2. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 22 ნოემბრის N01-02/28 ბრძანება „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (დანართი №7-1);
3. „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“ (დანართი №7);
4. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანება ხაბელაშვილების საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ (დანართი №7-2);
5. ხაბელაშვილების საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმა (დანართი №7-3);
6. ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 25 ნოემბრის N01-02/30 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი №6);
7. ინტერვიუს შედეგები (საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პერსონალი);
8. ვიზიტის ფარგლებში დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია (მშობლებთან და თემთან კომუნიკაციის ამსახველი მასალები, საინფორმაციო შეხვედრებისა და აქტივობების ამსახველი მასალები, ბავშვთა პორტფოლიოები, მშობლებთან ინდივიდუალური კომუნიკაციისა და უკუკავშირის პრაქტიკის ნიმუშები, ოჯახისა და თემის ჩართულობით განხორციელებული აქტივობების, ექსკურსიებისა და მათი გაანალიზების ამსახველი მასალები).

| | | | |
|--|---|---|---|
| შეფასება: | | | |
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება | | | |
| შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

4. საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა³

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

³ აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მამიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების და ხაბელაშვილების სტრუქტურული ერთეულის ორგანოგრამა. წარმოდგენილი დოკუმენტით ირკვევა, რომ დაწესებულებას ჰყავს კურიკულუმის მიზნების მიღწევის შესაბამისი აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი/აღმზრდელის თანაშემწე, კვებასა და სანიტარია-ჰიგიენაზე პასუხისმგებელი პირები და სხვა. საგანმანათლებლო პროცესის ხარისხიანად წარმართვას ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი მეთოდისტი; დაწესებულებას ასევე ჰყავს მუსიკის მასწავლებელი, ჯანმრთელობის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, კვების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი მედდა/ექიმი; სამეურნეო და კვებითი პროცესების სწორად წარმართვაზე პასუხისმგებელი პირი - მატერიალურად პასუხისმგებელი პირი (მწე); სანიტარულ ჰიგიენური ნორმების უზრუნველსაყოფის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი-დამლაგებელი. ამ ეტაპზე სტრუქტურულ ერთეულს არ ჰყავს სსსმ ბავშვი. ლოგოპედისა და ფსიქოლოგის პოზიციების გათვალისწინება ორგანოგრამაში და მათთვის კვალიფიკაციის მოთხოვნების განსაზღვრა „პერსონალის მართვის მარეგულირებელ წესში“ ადასტურებს, რომ დაწესებულება, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს ბავშვთა სპეციალური საგანმანათლებლო და ფსიქოლოგიური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად შესაბამისი კადრის დასაქმებას. ამ ეტაპზე ხაბელაშვილების სტრუქტურულ ერთეულში ორგანოგრამის თანახმად, სააღმზრდელო პროცესში ჩართულია ორი აღმზრდელი, ორი აღმზრდელის თანაშემწე და მუსიკის მასწავლებელი. ბავშვთა და პერსონალთა რაოდენობების თანაფარდობა უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)პ შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 10 მარტის N825.100260693 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს სამუშაო აღწერილობებს და იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც დადგენილია სამტატო ნუსხით გათვალისწინებული თითოეული პოზიციისთვის. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პერსონალის მართვის დოკუმენტი

მკაფიოდ განსაზღვრავს ფუნქცია-მოვალეობებს ყველა არსებული პოზიციისთვის, თუმცა გაერთიანების დირექტორი არ არის უფლებამოსილი პირი, რომ მის მიერ დამტკიცდეს სამუშაო აღწერილობა. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის დ ქვეპუნქტის თანახმად, დაწესებულებების პერსონალისთვის სამსახურებრივ ინსტრუქციების დადგენის უფლებამოსილება აქვს მუნიციპალიტეტს. ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული, რადგან სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები არ არის განსაზღვრული უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

რეკომენდაცია

რეკომენდებულია სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები/სამუშაო აღწერილობები განისაზღვროს უფლებამოსილი პირის მიერ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის დ ქვეპუნქტის შესაბამისად.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც ორი თვის ვადაში, კერძოდ 2026 წლის 28 ივლისამდე გეგმავს აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრას, რისთვისაც დაგეგმილი აქვს შემდეგი სახის აქტივობები: მუნიციპალიტეტისთვის შესაბამისი წერილით მიმართვა; 2. მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობა; 3. უფლებამოსილი პირის მიერ, თანამშრომლობის შედეგად შემუშავებული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დამტკიცება, ისე რომ შესაბამისობაში იყოს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის მე-10 მუხლის მე- 3 პუნქტის დ ქვეპუნქტთან. ექსპერტებმა გაითვალისწინეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პოზიცია და **ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 10 მარტის №25.100260693 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს სამუშაო აღწერილობებს და იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც დადგენილია საშტატო ნუსხით გათალისწინებული თითოეული პოზიციისთვის. ამასთან დაწესებულებამ საავტორიზაციო განაცხადთან ერთად წარმოადგინა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება №12 „ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს რიგი პოზიციებისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თუმცა რიგ შემთხვევაში არ არის დაზუსტებული თანამდებობა. მაგალითად, მეშვიდე მუხლი მოიცავს ინკლუზიის მხარდამჭერი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ხოლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ორგანოგრამით არ დასტურდება მსგავსი პოზიციის არსებობა. ამასთან დადგენილება არ მოიცავს აღმზრდელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, თუმცა

ორგანოგრამით განსაზღვრულია მსგავსი თანამდებობა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გამიჯნულია აღმზრდელის და აღმზრდელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ვიზიტისას გადამოწმდა ხაბელაშვილების სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებულ პირთა პირადი საქმეები. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომელ ყველა პირს აქვს დაწესებულების მიერ კონკრეტული პოზიციისთვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი განათლება და სამუშაო გამოცდილება. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 ოქტომბრამდე უნდა გამოეცა ნორმატიული აქტი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დასადგენად. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, აღნიშნული კანონის რეგულირების სფეროში მოქმედი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას მათში ცვლილებების შეტანამდე ან მათი გაუქმებამდე. შესაბამისად, შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები რეგულირდება შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის №12 დადგენილებით. საკვალიფიკაციო მოთხოვნებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილებების განხორციელების გზით ან მისი გაუქმებისა და ახალი ნორმატიული აქტის გამოცემის საფუძველზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერი დოკუმენტი, ორგანოგრამა და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი თანხვედრაში მოიყვანოს ერთმანეთთან. ამასთან საკვალიფიკაციო მოთხოვნების გაწერისას იხელმძღვანელოს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნათა დაცვით.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა პერსონალის პირადი საქმეები. დაწესებულებაში პირველადი დახმარების აღმოჩენის ტრენინგი გავლილი აქვს როგორც ხაბელაშვილების სტრუქტურული ერთეულის ექთანს, ასევე სააღმზრდელო პერსონალს. აღნიშნული დადასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებით/გადამზადების დამადასტურებელი დოკუმენტებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე, ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. აღნიშნულს ადასტურებს ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 10 მარტის №25.100260693 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი და 2024 წლის 14 ნოემბრის №01-02/17 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი.

პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის ძირითად პრინციპებს და მიზნად ისახავს ისეთი სამუშაო გარემოს შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა პროფესიული პოტენციალისა და პირადი მისწრაფებების რეალიზებას დაწესებულების მიზნების მიღწევის პროცესში. დოკუმენტი ასევე მოიცავს პერსონალის მართვის პროცესების სისტემურ აღწერას და უზრუნველყოფს მათ თანმიმდევრულ განხორციელებას.

ამავე დოკუმენტის საფუძველზე ჩამოყალიბებული ორგანიზაციული სტრუქტურა (ორგანოგრამა) ნათლად ასახავს თანამშრომელთა იერარქიას, დაქვემდებარების, ანგარიშვალდებულებისა და ურთიერთკავშირის სისტემას, რაც ხელს უწყობს მართვის პროცესების გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას. შინაგანაწესი დეტალურად არეგულირებს შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის: სამსახურებრივი ქცევის სტანდარტებს, თანამშრომელთა შორის დავების გადაწყვეტის მექანიზმებს, შრომითი ხელშეკრულების დადებისა და შეწყვეტის წესს, სამუშაო და დასვენების რეჟიმს, შვებულებების მართვას, ასევე წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს. დოკუმენტები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ექსპერტებმა ვიზიტისას შეისწავლეს აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ხელშეკრულების მესამე მუხლი მოიცავს მხარეთა მოვალეობებს, რომელშიც ჩამოთვლილია როგორც საკონტაქტო, ისე არასაკონტაქტო საათებში შესასრულებელი სამუშაოები. ამასთან მესამე მუხლის პირველი პუნქტის რ ქვეპუნქტი მოიცავს ჩანაწერს საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებთან დაკავშირებით. ყოველდღიურად აღმზრდელს აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს 2 არასაკონტაქტო საათი პორტფოლიოების საწარმოებლად, პროცესის დაგეგმვისთვის და სხვა. ამასთან აღმზრდელს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ერთი საათი შესვენებით. ვიზიტისას გადამოწმდა რამდენად ხდება დაწესებულებაში არასაკონტაქტო საათებით სარგებლობა. როგორც ხაბელაშვილების სტრუქტურული ერთეულის მენეჯერმა განაცხადა, ბაღში ფუნქციონირებს ერთი ჯგუფი. არის 2 აღმზრდელი, 2 აღმზრდელის თანაშემწე და მუსიკის პედაგოგი. შესაბამისად, პერსონალის რაოდენობა იძლევა შესაძლებლობას აღმზრდელებმა ისარგებლონ არასაკონტაქტო საათებით. ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებები არ მოიცავს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის თანახმად, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესს, ასევე ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობას, შვებულების ხანგრძლივობას და ამ შვებულებების მიცემის წესს; აღნიშნულ საკითხებს, დაწესებულების წარმომადგენლების ინფორმაციით, არეგულირებს დაწესებულების შინაგანაწესის მეხუთე თავი. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

ექსპერტთა რჩევა, დაწესებულებამ ხელშეკრულების შედგენა უზრუნველყოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლში მოცემული პირობების გათვალისწინებით. ამასთან გამიჯნოს არასაკონტაქტო და საკონტაქტო საათების განმავლობაში შესასრულებელი სამუშაოები, ხოლო სტრუქტურულ ერთეულში შემუშავდეს არასაკონტაქტო საათებით სარგებლობის გრაფიკი.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 10 მარტის №25.100260693 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-9 მუხლის თანახმად, პერსონალი ვაკანტურ პოზიციაზე ინიშნება პირდაპირი დანიშვნის გზით. შერჩევის ეტაპზე გაერთიანება ეყრდნობა ამ კონკრეტული პოზიციისთვის შემუშავებულ სამუშაო აღწერილობას. თვითშეფასების განაცხადში დაწესებულებას დადებითად ჰქონდა ინდიკატორი შეფასებული. თუმცა ვიზიტისას დამატებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც 2025 წლის დეკემბრიდან 2026 წლის მაისის ჩათვლით პერიოდში დაწესებულება გეგმავდა პერსონალის შერჩევის პროცედურების შემუშავებას ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად. ვიზიტის დროს, გასაუბრებისას დადგინდა რომ დაწესებულებას ჯერ დასრულებული არ ჰქონდა აღნიშნულ მექანიზმზე მუშაობა.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, კერძოდ 2026 წლის მაისის ჩათვლით, უზრუნველყოს პერსონალის შერჩევის პროცედურების ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, კერძოდ კონკურსის ეტაპების, შეფასების მეთოდოლოგიის და საპრეტენზიო მექანიზმის გაწერა.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....



4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)პ შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 10 მარტის №25.100260693 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-12 მუხლის შესაბამისად, დაწესებულება უზრუნავს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციაზე. კერძოდ, კონკრეტული პირი ახალ დასაქმებულს აცნობს გაერთიანების მისიას, ხედვას, ღირებულებებს, სტრუქტურას, კოლეგებს, მასთან დაკავშირებული მიზნებს, საჭირო რესურსების, აღჭურვილობის, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ხელმისაწვდომობის პრინციპებს, შინაგანაწესს, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობას, უსაფრთხოების წესებს და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურებს, მონიტორინგის სისტემას. საჭიროების შემთხვევაში გაეწევა შესაბამისი კონსულტაცია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანებაში მიმდინარე პროცესების მართვის მარეგულირებელი სხვადასხვა წესის შინაარსი ორიენტირებულია ორგანიზაციაში თანამშრომლობითი და გუნდური სამუშაო გარემოს ჩამოყალიბებაზე. კერძოდ, პერსონალი აქტიურად არის ჩართული კურიკულუმის შერჩევის, შესაბამისი გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში, აგრეთვე დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების განსაზღვრაში. აღნიშნული მიდგომები გამოიყენება ასევე სტრატეგიული დაგეგმვის პროცესშიც.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

(ა)იპ შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 10 მარტის №25.100260693 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი მე-14 მუხლი არეგულირებს პერსონალის შეფასებასთან და საჭიროების მოკვლევასთან დაკავშირებულ საკითხებს. ვიზიტისას დაწესებულებას შეფასების მტიცებულებები არ წარმოდგენია, როგორც გაერთიანების დირექტორმა აღნიშნა ექსპერტებთან ინტერვიუში დოკუმენტი ახლახანს დამტკიცდა და დაგეგმილია მექანიზმის შესაბამისად შეფასების პროცესის განხორციელება. თუმცა როგორც აღნიშნა, გაერთიანების მეთოდისტი ესწრება სააღმზრდელო პროცესს და დაწესებულებას აქვს შეფასების განხორციელების გარკვეული პრაქტიკა. მტკიცებულებად წარმოდგენილი იქნა გაერთიანების მეთოდისტის 2026 წლის 17 თებერვლის N25-10026048174 კორესპოდენცია, რომელშიც მეთოდისტი მიმართავს გაერთიანების დირექტორს აღმზრდელების და აღმზრდელის თანაშემწეების პროფესიული განვითარების მიზნით საჭირო ტრენინგებთან დაკავშირებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

(ა)იპ შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 10 მარტის Nზ25.100260693 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებები ასახება გაერთიანების ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში/პროფესიული განვითარების გეგმაში. 2026 წლის 02 მარტის Nზ25.1002606110 ბრძანებით დამტკიცებული 2026 წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ აქტივობებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 10 მარტის Nზ25.100260693 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად, პერსონალის მიერ ინდივიდუალურად დაფიქსირებული ან კვლევის შედეგად გამოვლენილი ინიციატივების წასახალისებლად, მექანიზმად გამოიყენება ა) ინიციატივის განხორციელებისათვის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფით; ბ) ინიციატივის განხორციელებისათვის სამუშაო ჯგუფის და გარემოს ორგანიზება; გ) სხვადასხვა დაწესებულებებთან კომუნიკაცია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

